დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ჩივაძე

წევრები:

სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230058790

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ზესტაფონი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზესტაფონი, მელქაძის ქ. N2
საფოსტო ინდექსი	2000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლის პორტალი: skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zestaponi4@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 26 0000279925, 06/03/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 06 და 07 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, მელქაძის ქ. N2. (ერთი შენობა-ნაგებობა)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, მელქაძის ქ. N2. (ერთი შენობა-ნაგებობა)
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, მელქაძის ქ. N2. (ერთი შენობა-ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, 2026 წლის 06 და 07 აპრილს სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შეიმუშავა დღის წესრიგი, რომელიც, გაცნობის მიზნით წინასწარ გადაეგზავნა სკოლას.

სამუშაო პროცესი წარიმართა შემდეგი ფორმატით: ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს უშუალოდ სკოლაში; ადგილზე შეისწავლეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მატერიალური ბაზა, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საგნობრივი ექსპერტები სამუშაო პროცესში ჩაერთნენ დისტანციურად Teams პლატფორმის გამოყენებით; მათ დეტალურად შეისწავლეს ცალკეული დისციპლინების სწავლების პრაქტიკა და მუშაობის სპეციფიკა, ჩაატარეს გასაუბრებები სასკოლო კურიკულუმის საკითხებზე პედაგოგებთან/კათედრის წარმომადგენლებთან

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეამოწმა ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტაციის ანალიზთან ერთად ჩატარდა მიზნობრივი ინტერვიუები დირექციასთან, პედაგოგებთან, სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან. გასაუბრების ფარგლებში განხილული დღის წესრიგით გათვალისიწინებული საკითხები: მისია ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოსწავლეთა უფლებები და მათზე მორგებული მხარდაჭერის სერვისები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები და სხვა.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, თანამშრომლობით, და კოლეგიალურ გარემოში. სამუშაო პროცესის დასკვნით ეტაპზე, ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გააცნეს ინფორმაცია ვიზიტის დროს გამოვლენილი მიგნებების შესახებ.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
		1040

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა, განვითარებაზე ორიენტირებული სკოლაა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელებას, ახალისებს არაფორმალურ განათლებას; მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემეცნებით კონკურსებში, სასწავლო და სპორტულ ოლიმპიადებში, მხატვრულ და შემოქმედებით ღონისძიებებში; სკოლა ზრუნავს ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, სადაც ყველა მოსწავლე სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იგრძნობს თავს.

სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ პროექტებში მუდმივი და წარმატებული მონაწილეობა. აღნიშნული პროექტების ფარგლებში მოსწავლეები და პედაგოგები გეგმავენ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობებს, მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში, სასწავლო ვიზიტებსა და ბანაკებში; მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ სასკოლო საზოგადოების წევრებს.

სკოლას აქვს სათემო პროექტებში ჩართულობის გამოცდილება. მოსწავლეები და პედაგოგები მონაწილეობენ სოციალურ პროექტებში/ინიციატივებში, რომელთა მიზანიც არის ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერა, თემაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება. პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვ.

სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული და მონაწილეობითი კულტურის დამკვიდრებას, სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: **1040** (ათას ორმოცი)	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სკოლამ არაუგვიანეს **2026 წლის ივლისისა** უზრუნველყოს სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტში (2026 წლის 09 მარტი, N78) მითითებული ხარვეზების სრულად აღმოფხვრა.*
ინდიკატორი N 3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა** უზრუნველყოს სკოლის ექიმის საშტატო ერთეულის შეთანხმება და კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N 3.3.1.2	*იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები*	*სასურველია, სკოლამ სხვადასხვა დოკუმენტში ასახული ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები, ერთიანი მიდგომით ჩამოაყალიბოს.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1. *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სახელმწიფო ენა* *(საგაზო საფეხური)*	*ექსპერტის მხრიდან, სკოლას მიეცეს რჩევა, კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საგაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით. სასურველია, ამოქმედდეს დამატებითი საკლუბო წრეები.*
	მათემატიკა *(დაწყებითი საფეხური)*	*სასურველია, 1-ელი და მე-3 კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები, მიეთითოს რესურსების გრაფაში სახელმძღვანელოდან (I და III კლ)და მოსწავლის სამუშაო რვეულიდან (I კლ) საკითხების შესაბამისი გვერდები.* *მე- 4 კლასის კურიკულუმში რესურსების გრაფაში მიეთითოს კონკრეტული ელექტრონული რესურსების ბმულები, რომლებსაც პედაგოგი იყენებს სწავლის პროცესში კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.*

		მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებზე მუშაობისას პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილონ შესაბამის სვეტებში ინფორმაციის სწორად განთავსებაზე. კერძოდ, გრაფაში ,,საკითხი/ საკითხთა კლასტერი" მითითებულია ,,კონტექსტ- მაგალითები" და პირიქით. ასევე, სასურველია კურიკულუმში სახელმძღვანელოდან სწორად და სრულად აისახოს ყველა საკითხი, რომლებიც საჭიროა ესგ-ის მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*მასწავლებლებმა კურიკულუმის დაგეგმვისას ითანამშრომლონ ერთმანეთთან და გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. დაგეგმონ საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. მე-4 კლასის ბუნებისმეტყველებაში ჩაასწორონ სავალდებულო თემების დასახელება და ასევე მათემატიკაში მე-3 და მე-4 კლასებში საკითხების სვეტში გადმოიტანონ კონტექსტ მაგალითებში ჩაწერილი პარაგრაფთა დასახელება და თემები გადაალაგონ სახელმძღვანელოს მიხედვით.*
ინდიკატორი N 2.1.2.2. *კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია* • *კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება;* • *კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში;* • *ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;* • *თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები;* • *კათედრის ოქმებში დაფიქსირდეს კურიკულუმის რევიზიის შედეგები*

	სახელმწიფო ენა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცეს რჩევა:* 1. *კომპლექსური დავალების პარალელურად, შერჩეული შემაჯამებელი დავალებების ტიპებიც, მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. (სამივე საფეხურზე);* 2. *კურიკულუმებში დაზუსტდეს საფეხურის შედეგები; საბაზო საფეხურზე სასწავლო თემების პარალელურად განისაზღვროს თემატური ბლოკები; არსებულთან ერთად ტექნიკურად დაკორექტირდეს მე-11 კლასის კურიკულუმი. (თვალსაჩინოებისთვის იხ. მერვე/მეთორმეტე კლასების კურიკულუმები).*
	კომპიუტერული ტექნოლოგიები *(დაწყებითი საფეხური)*	*მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, სამიზნე ცნების გრაფაში „კომპიუტერის აგებულება“ ნაცვლად უნდა ეწეროს სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“. მოცემულ შემთხვევაში მიმართულება, საკითხი, დავალების იდეა, მაგალითი შედარებისთვის და რესურსი შინაარსობრივად სწორადაა აგებული, თუმცა ცნებების ფორმულირება არასწორია. საჭიროა სკოლამ სამიზნე ცნებების ფორმულირება მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.*
ინდიკატორი N 2.1.2.3. *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის*	*სახელმწიფო ენა* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ.რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე. (სამივე საფეხურზე).* *მიზანშეწონილია კონტექსტური პარალელებისთვის დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის,*

საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას		*რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.*
ინდიკატორი N 2.1.2.4. *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***სახელმწიფო ენა*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, შემდეგი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას, მიზნობრივია, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*მასწავლებლებმა კურიკულუმშივე გაითვალისწინოს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საკითხები და დავალების იდეა, საჭირო რესურსებით.*
ინდიკატორი N 2.1.2.5 *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:***	*კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.*
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები : *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.*

	საზოგადოებრივი მეცნიერებები: *(დაწყებითი)*	*ჩვენი საქართველოს (V-VI კლ.) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოარგეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.*
ინდიკატორი N 2.2.1.1 *სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმის ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. სასურველია ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის გეგმაში და გამოყენებულ იქნას როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისა და პროცესის გაუმჯობესების საფუძველი.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სკოლას მივეცი რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ, კოლეგებთან თანამშრომლობით.*
ინდიკატორი N 2.2.1.3 *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება.*

ინდიკატორი N 2.2.2.1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* *(საგაზო, საშუალო საფეხური)*	*საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ფუნქციონირებს გამწოვი. სასურველია დამონტაჟდეს კარადა.*
ინდიკატორი N 2.2.2.3. *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* *(საგაზო, საშუალო საფეხური)*	*ლაბორატორიაში ფუნქციონირებს გამწოვი, რომელიც მუშა მდგომარეობაშია. სასურველია გამწოვი ჩამონტაჟდეს კარადაში, რათა არ მოხდეს ექსპერიმენტის შედეგად გამოყოფილი აირების გაფრქვევა ჰაერში.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნაში განხორციელდა ცვლილებები; კერძოდ:

მესამე სტანდარტში, ინდიკატორი N3.1.2.3. განისაზღვრა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად; დაწესებულებამ წარმოადგინა სავალდებულო ცნობები: ერთი თანამშრომლის ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ და ერთი თანამშრომლის ცნობა ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ;

ინდიკატორ N3.4.1.1-ში, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნაზე არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N 002362726; 03/04/2026), რომლის მიხედვით, შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია და ჩაითვალა შესაბამისად.

შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხზე სკოლამ წარმოადგინა მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MES 4 26 0000039315, 20.01.2026); ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან მიღებული წერილი (MIA 7 26 00925305; 17/03/2026) სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტთან (2026 წლის 09 მარტი, N78) ერთად, რომლის მიხედვით, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, სკოლა არაუგვიანეს 2026 წლის ივლისისა უზრუნველყოფს სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების სრულად აღმოფხვრას. ინდიკატორი N 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის და მტკიცებულებების მიხედვით, სკოლა არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა უზრუნველყოფს სკოლის ექიმის საშტატო ერთეულის შეთანხმებას და კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმებას. გამომდინარე აქედან, ინდიკატორი N 3.4.1.2. განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში. მესამე სტანდარტი, მთლიანობაში განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევების უმეტესი ნაწილი; კერძოდ, ცვლილება შევიდა „ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილების და საქმიანობის დოკუმენტში“ (დირექტორის ბრძანება N2-102, 08.05.2026), შინაგანაწესში (სამეურვეო საბჭოს ოქმი N11, 07.05.20206), „საქმისწარმოების დებულებაში“ (დირექტორის ბრძანება N2-101, 08.05.2026), და „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესში“ (დირექტორის ბრძანება N2-100, 08.05.2026), შესაბამისად დასკვნიდან ამოღებულ იქნა აღნიშნულ ინდიკატორებზე (N 3.1.1.1 , N 3.1.2.3, N 3.6.2.1 და N 4.1.2.1) გაცემული რჩევები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და წარმოდგენილია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა თავისი მისიით აქცენტს აკეთებს ეროვნულ ღირებულებებზე დაყრდნობით ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში აღზარდოს კრიტიკული აზროვნების მქონე, ციფრული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, განათლებული, პატრიოტი, ტოლერანტი, კონკურენტუნარიანი, აქტიური მოქალაქე, რომელიც შეძლებს სწრაფად ცვალებად გარემოში ორიენტირებასა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას. ხოლო, სკოლის მომავლის ხედვაა სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუქმნას სრულყოფილი უსაფრთხო, განვითარებადი, ინკლუზიური, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებით, მოხდება მოსწავლეთა არაფორმალური გაერთიანებებისა და სასკოლო თვითმმართველობის გაძლიერება, მათი ინიციატივების განვითარება-მხარდაჭერა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება.

ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიისა და ხედვის თანახმად მთლიანად პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც აქცენტს აკეთებს აღზარდოს ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში კრიტიკული აზროვნების მქონე, განათლებული, პატრიოტი, ტოლერანტი, კონკურენტუნარიანი, აქტიური მოქალაქე, რომელიც შეძლებს სწრაფად ცვალებად გარემოში ორიენტირებასა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას, ასევე, გამოწვევების გადაჭრისთვის საჭირო გზების დასახვას. სკოლის ფილოსოფიით განსაზღვრულია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც სასკოლო საზოგადოებისთვის უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად უსაფრთხო, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესი.

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. სკოლის ფილოსოფიის შექმნის პროცესში დაწესებულებამ აქტიურად ჩართო სასკოლო საზოგადოება, დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის N2-152 ბრძანებით, სკოლაში შეიქმნა სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული დაგეგმვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი, მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. სკოლამ წარმოადგინა კითხვარი, რომლის საშუალებითაც მოხდა სასკოლო საზოგადოების (თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი) გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით მოხდა სკოლის ფილოსოფიის - მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ფილოსოფიის პროექტი განსახილველად წარედგინა სამეურვეო საბჭოს და შემდეგ პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ინდიკატორი 1.1.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლა მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებისთვის იყენებს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალებას/საშუალებებს: სკოლის ვებ-გვერდს*(skolebi.emis.ge),* სოციალურ ქსელს, ელექტრონულ ფოსტას, მშობელთათვის შექმნილი მესენჯერ-ჯგუფებს, სკოლის პერსონალის სოციალური ქსელების პირადი ანგარიშებს და სკოლის ფოიეში არსებულ საცნობარო დაფას.

ინდიკატორი 1.1.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის გაზიარებას ციფრული და მატერიალური არხებით. ფილოსოფიის დოკუმენტი გამოკრულია სკოლის საცნობარო დაფაზე, ასევე გაზიარებულია ონლაინ სივრცეში (სკოლის სოციალურ გვერდზე და სკოლის ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge).

ინდიკატორი 1.1.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით -„ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ - განსაზღვრულ ტიპსა და სტატუსს: სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 1.1.1.6. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) განხილვა/შეთანხმება“;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) დამტკიცება“;*
- *სკოლის ფილოსოფიის შემუშავების კითხვარი;*
- *სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ფილოსოფია- skolebi.emis.ge*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის N 2-151 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს.

ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლებზე გათვლილი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორებისა და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს. სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა აქცენტს აკეთებს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებზე: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერა და ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი 1.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი (2025-2026წლის) სამოქმედო გეგმა, რომელიც ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას, სტრატეგიული ამოცანების შესრულების გზით. სამუშაო ჯგუფმა, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში (12.09.2025) შეიმუშავა და განიხილა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც წარუდგინა სამეურვეო საბჭოს. 2025 წლის 15 სექტემბრის N-2 სხდომაზე, სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. ადმინისტრაციის წევრებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სკოლამ გაითვალისწინა სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული თვითშეფასება, სკოლამ შეაფასა წინა წლის სამუშაოები და მათი შესრულების ხარისხის, ანალიზის საფუძველზე კი შექმნა ახალი წლის სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 1.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ასახავს კონკრეტულ აქტივობებს, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სამოქმედო გეგმის ყოველ აქტივობას თან ერთვის შესრულების ვადები, რომლებიც არის რეალისტური. ვადები განსაზღვრავს რა პერიოდში უნდა დასრულდეს კონკრეტული აქტივობა. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია თითოეული აქტივობისთვის პასუხისმგებელი პირი თუ სტრუქტურული ერთეული, რომლებიც არიან პასუხისმგებლები ამ აქტივობის შესრულებაზე. ყველა აქტივობის შესასრულებლად მითითებულია შესაბამისი რესურსებიც (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური).

ინდიკატორი 1.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*

- *სამუშაო ჯგუფის ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტის შემუშავებაზე;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწ.წ) ;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სამეურვეოს ოქმი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება (25.10.2023 წ.);*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი (N-1) 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შეთანხმება (12.09.2025 წ.);*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი (N-2) 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება; (15.09.2025 წ.);*
- *ინტერვიუს შედეგები.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე, სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში. სკოლა გამოხატავს მზაობას აღნიშნული ინდიკატორის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი 1.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. მონიტორინგის პროცესს წარმართავს სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი და სკოლის დირექცია, რომლებიც

უზრუნველყოფენ კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. სკოლა ინტერვიუებში განმარტავს, რომ ყოველწლიურად ან შესაბამის პერიოდებში მიიღებს უკუკავშირს ყველა დაინტერესებული მხარისგან. ეს უკუკავშირი შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაიგოს თუ როგორ აღიქმება მისი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სკოლაში და სათემო კულტურაში.
ინდიკატორი 1.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას როგორც სკოლის საზოგადოებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. სკოლა გამოხატავს მზაობას აღნიშნული დოკუმენტების საჯაროობის უზრუნველყოფაზე.
ინდიკატორი 1.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის მიერ განხორციელებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგებიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საფუძველზე განხორციელდება სკოლაში პროცესების ანალიზი. ანალიზის შედეგებს კი სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის.
ინდიკატორი 1.2.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;*

- *შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი პირველი სემესტრის შეჯამება (30.12.2025 წ.).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით, დაწესებულებაში განსაზღვრულია შემდეგი საშტატო ერთეულები:
დირექცია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი; ადმინისტრაცია: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი; მასწავლებელი (52); ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი: დარაჯი (2), დამლაგებელი (6); ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (1).

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, დაწყებითები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა, სპორტისა და ფიზიკური აღზრდა). სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას და მათი საქმიანობის სფერო განსაზღვრულია დოკუმენტში „ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები". მასში აღწერილია კოლეგიური ერთეულების საქმიანობის წესი და მათი უფლებამოსილების საკითხები. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „თანამდებობრივი ინსტრუქციების" დოკუმენტი, რომელიც ასევე აღწერს სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებული პირების უფლება–მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის დაკომპლექტების წესი, უფლებამოსილება და ვალდებულებები გაწერილია დოკუმენტში „სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები". სკოლის პერსონალთან გაფორმებულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც ასახულია მათი ფუნქცია - მოვალეობები.

წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, სკოლამ გაითვალისწინა **რჩევა** და მრჩეველთა საბჭოს ფუნქციების აღწერილობა შეიტანა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტში (სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-102; 08.05.2026, დანართით).

ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულებს შორის უფლება-მოვალეობების განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გამიჯნულია ერთმანეთისგან; ისინი მოქმედებენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც ხელს უწყობს საერთო სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას და დასახული მიზნების მიღწევას. მაგალითად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭო ამტკიცებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შიდა სასკოლო დოკუმენტებს, ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, წესდებით გათვალისწინებული წესით ირჩევს დისციპლინური კომიტეტს და ა. შ. პედაგოგიური საბჭო, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დირექტორის ჩართულობით შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას და სხვ. სკოლის მიდგომა ხელს უწყობს მონაწილეობითი მართვის მოდელის ჩამოყალიბებას და საერთო პასუხისმგებლობის ღირებულებების დამკვიდრებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სკოლის სტრუქტურა;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 1, 12.09.2025*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 7 10.12.2025 .*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, შრომითი ხელშეკრულებების და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს, კერძოდ ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლება- მოვალეობებს, შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, ინფორმაციას სამუშაო ადგილის, სამუშაო დროის, დასვენების დროის შესახებ, შრომის ანაზღაურების ოდენობას და გადახდის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების, მხარეთა პასუხიმგებლობის წესებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საკითხებს და სხვ. სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, დაწესებულების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლებას, თითოეულ თანამშრომლისთვის საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობის მიცემას და სხვ. სკოლის აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე. დოკუმენტი განსაზღვრავს შრომით, ადმინისტრაციულ, სასწავლო პროცესთან და დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებს, ადგენს დასაქმებული პირების ქცევის საერთო ჩარჩოს და სხვ. შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით, შინაგანაწესი ითვლება მათ განუყოფელ ნაწილად და დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი 3.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში ჩანს დაწესებულების პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკაში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით, სკოლამ უნდა განახორციელოს ადამიანური რესურსის სტაბილურობის ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს რეკომენდაციები, დირექციის შეხვედრებზე კი რეგულარულად უნდა განიხილებოდეს ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობა; სკოლაში ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტი ითვალისწინებს შიდა ან ღია კონკურის გამოცხადებას არსებული საჭიროების შევსების მიზნით. პირის სამსახურიდან გათავისუფლების ეტაპები მოიცავს სამსახურეობრივი დოკუმენტაციის და მატერიალური საშუალებების გადაბარებას, რაც პროცესის უწყვეტობის გარანტია. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, თუ სკოლაში მომუშავე ძირითად მასწავლებელს დროებით უჩერდება შრომითი ხელშეკრულება, დირექტორი უფლებამოსილია აღნიშნული პირი, კონკურსის გარეშე ჩაანაცვლოს დროებით დასაქმებული მასწავლებლით, ძირითადი პედაგოგის სამსახურში გამოცხადებამდე. შესაბამისად, სკოლა ახდენს რისკების პრევენციას და საჭიროების შემთხვევაში იყენებს გამარტივებულ მექანიზმს, გრძელვადიან პერსპექტივაში სამუშაოს ხარისხის შენარჩუნების მიზნით კი დაწესებულება მიმართავს რამდენიმე ეტაპიან შერჩევის სისტემას, რომელიც კომპეტენციებზეა დაფუძნებული.

ინდიკატორი 3.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და შინაგანაწესი არეგულირებს კადრების მოზიდვისა და დასაქმების საკითხებს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით, მასწავლებლის/ მასწავლებლობის მაძიებლის/ სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად შიდა ან/და ღია კონკურსის გზით. ღია კონკურსში მონაწილეობს ნებისმიერი დაინტერესებული პირი კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს. განცხადება კონკურსის შესახებ უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, ვებგვერდზე teachersjobs.ge. სხვა თანამშრომლების მიღება, გარდა სამედიცინო პერსონალისა, ხდება

დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე. სამედიცინო პერსონალი უნდა შეირჩეს სპეციალური კომისიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლაში პედაგოგის / თანამშრომლის მიღების და სამსახურეობრივი შეთავსების საკითხები ასახულია ასევე სკოლის შინაგანაწესში, რომელიც აღწერს ვაკანსიის გამოცხადების პროცედურას, კადრის შერჩევის ეტაპებს და მეთოდოლოგიას, საკონკურსო კომისიის შემადგენლობას და სხვა საკითხებს. სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით განსაზღვრულია მოწვეული და შემცვლელი მასწავლებლის დასაქმების პირობები. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით კადრების შერჩევა ემყარება ობიექტურობის, კოლეგიურობის, კორექტულობის და გამჭვირვალეობის პრინციპებს.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დასაქმების შეზღუდვის რეგულაციები და შინაგანაწესი სკოლაში დასაქმებულ პირებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინონ სავალდებულო ცნობები (საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად). სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეებში არ ინახებოდა ერთი თანამშრომლის ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ და ერთი თანამშრომლის ცნობა ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ.

წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, სკოლამ გაითვალისწინა **რჩევა** შინაგანაწესში ასახა მასწავლებლის შესარჩევი კომისიის სავალდებულო წევრთა შემადგენლობა, საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების შესაბამისად; ასევე, შინაგანაწესში, დასაქმებულის პირად საქმეში შესატან სავალდებულო დოკუმენტებში მიუთითა უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობები, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მიხედვით (სამეურვეო საბჭოს ოქმი N 11, დანართით, 07.05.2026)

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით, სკოლის თანამშრომლებმა წარადგინეს სავალდებულო ცნობები: ერთი თანამშრომლის ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ და ერთი თანამშრომლის ცნობა ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

საშტატო ნუსხის, შრომითი ხელშეკრულებების და ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, სკოლის დირექცია წარმოდგენილია დირექტორით, დირექტორის მოადგილით და ბუღალტერით, ადმინისტრაცია - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორით, ბიბლიოთეკარით და საქმისმწარმოებლით; სკოლაში დასაქმებულია ორმოცდათორმეტი მასწავლებელი, მათ შორის ოცდათექვსმეტი - უფროსი, რვა - წამყვანი, ოთხი - მენტორი და ოთხი სპეციალური მასწავლებელი; სკოლას ემსახურება ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირის ასისტენტი, ექვსი დამლაგებელი, ორი დარაჯი. პერსონალის პირად საქმეებში განთავსებული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან“, მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 3.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწესებულების საქმიანობის ამსახველი მასალები და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლაში დასაქმებული პირები და არსებული სტრუქტურული ერთეულებს საქმიანობა დაფუძნებული არის თანამომაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლაში მოქმედებს ისეთი კოლეგიური ორგანოები, როგორიცაა: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სამეურვეო საბჭო, რომლებიც აერთიანებს პედაგოგთა, მოსწავლეთა, მშობლების წარმომდგენლებს და ახორციელებს თავის საქმიანობას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად. მაგალითად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ადასტურებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის პროცესში ჩართული იყო პედაგოგიური საბჭო, დამტკიცება კი მოხდა სამეურვეო საბჭოს მიერ; სკოლის დისციპლინური კომიტეტის ირჩევს სამეურვეო საბჭო, ამავე დროს მას კანონმდებლობის შესაბამისად თავადაც აქვს საჩივრების განხილვის უფლება და ა.შ. „სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით ცხადია, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების პროცესი დირექციისა და კათედრის წევრების ინტენსიურ თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული. „სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ ადასტურებს რომ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროცესში პრიორიტეტულია გუნდური მუშაობის ხელშეწყობა და მათ შორის

არაფორმალური ურთიერთობების განვითარება; სკოლის მიზანია პირველივე დღეებიდან შეუწყოს ხელის ახლად დასაქმებულ კადრს, რომ გუნდის სრულფასოვანი წევრი გახდეს და ითვალისწინებს ადაპტაციის შესაბამისი ეტაპების გავლას.

ინდიკატორი 3.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სკოლაში დასაქმებული პირების წარმატებული საქმიანობის და მიღწევების აღიარების მექანიზმები. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და მისის გამოყენების წესი; წახალისების საფუძველი შეიძლება გახდეს: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატება, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულება, ასევე დიდი მოცულობის, რთული სამუშაოს შესრულება და სხვ. სკოლა მიმართავს წახალისების შემდეგი ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. აღნიშნულ საკითხზე დირექტორისთვის წერილობით მიმართვის უფლებამოსილება აქვს დირექტორის მოადგილეს, პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, საგნობრივ კათედრას, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დირექტორის გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.

ინდიკატორი 3.1.2.6 . შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და რეგულაციები;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სპეციალური მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადების/ საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ.*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*

- *სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს დასაქმებულთა პროფესიული საჭიროების და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტი მთავარ მიზნად ასახელებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებას, რისთვისაც ხორციელდება შესაბამისი მონიტორინგის პროცესი. აღნიშნულმა პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებას, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან კვალიფიციურობის შესაბამისობის დადგენას.
აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლაში დასაქმებული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი ფორმით: უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ შეფასება, თვითშეფასება, კითხვარების გამოყენებით სასკოლო საზოგადოების შეფასება, კრიტიკული შემთხვევების შეფასება, გარკვეული სამუშაო ჯგუფის/ კომისიის მიერ შეფასება, სამუშაო პროცესზე / საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება. მაგალითად, სკოლას, ინკლუზიური განათლების მიმართულებით შესრულებული საქმიანობის ანალიზის მიზნით შემუშავებული აქვს სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარი, რომლებიც სპეციალური მასწავლებლების, სკოლის დირექციისა და საგნის პედაგოგებისთვის არის განკუთვნილი.

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დანერგვის პროცესში ხარისხის მართვის პროცესს ხელმძღვანელობს სკოლის დირექციის ფუნქცია. მან უნდა უზრუნველყოს სამუშაო შეხვედრების გამართვა კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა პედაგოგების ჩართულობით), სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები; შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად;

სკოლაში დამკვიდრებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომელიც პედაგოგის პროფესიული საქმიანობის შეფასების ერთერთი ინსტრუმენტია: სამიზნე გაკვეთილს ესწრებიან საგნობრივი კათედრის და დირექციის წარმომადგენლები, რომლებიც პედაგოგს აძლევენ უკუკავშირს ჩატარებულ გაკვეთილთან დაკავშირებით; თავად პედაგოგი კი აკეთებს ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიას. სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავს მათი საქმიანობის შესაფასებლად საჭირო კრიტერიუმებს. სკოლის მიმდინარე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირის გზით და ა.შ.

ინდიკატორი 3.2.1.1.. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ზრუნავს პერსონალის მიზნობრივ განვითარებაზე, რაც ადასტურებს, რომ ეს პროცესი ციკლური ხასიათისაა; აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული განვითარება გულისხმობს ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე მოთხოვნების იდენტიფიცირებას და რელევანტური ღონისძიებების დაგეგმვას. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს მრავალფეროვან მეთოდებს, შესაბამისი აქტივობები და განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი კი აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2025 - 2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, ერთერთ სტრატეგიულ მიზნად გამოყოფილია „ადამიანური რესურსის განვითარება“, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დოკუმენტში გაწერილია პერსონალის პროფესიული საჭიროების კვლევის ვალდებულება; გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის განვითარების დაგეგმვას, რაც გამოიხატება თანამშრომელთათვის შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზებასა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარებაში, საჭირო ტრენინგებისა და სემინარების მოძიებაში, შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვაში, პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ თანამშრომელთათვის ინფორმაციის მიწოდებაში და ა.შ.

ინდიკატორი 3.2.1.2.. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთერთ მთავარ მიზნად განსაზღვრული არის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც თანამშრომელს საკუთარი პოტენციალისა და პირადი მისწრაფებების რეალიზების საშუალებას მისცემს, პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სკოლაში არსებული მართვის მექანიზმებით; დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს თანამშრომლების მონაწილეობას ტრენინგებსა და სემინარებში პროფესიული და კარიერული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. სკოლა, პერსონალს პროფესიული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით, სთავაზობს როგორც სკოლის ბაზაზე განვითარებას, ასევე გარედან შემოთავაზებულ სერვისებს.

სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კარიერულ განვითარებას, როგორც ერთერთ დამხმარე პროცესს. სკოლა პერსონალის საჭიროებებს ასახავს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ) ასახავს დაწესებულების მზაობასა და კონკრეტულ ნაბიჯებს თანამშრომლების კარიერული წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, მაგალითად ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება, საკონსულტაციო საქმიანობის გაწევა და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი არეგულირებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის და სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადაპტაციის მოდელი სამეტაპიანია: მუშაობის დაწყებამდე სკოლის შესახებ შეხედულებების ჩამოყალიბება, შეხვედრის და გარემოს რეალური გაცნობის პროცესი, თანამშრომლის ჩამოყალიბება გუნდის სრულუფლებიან წევრად. აღნიშნული ეტაპების წარმატებით დასაძლევად სკოლა მიმართავს სხვადასხვა პრაქტიკულ აქტივობებს: სკოლის დათვალიერება, ისტორიის და ტრადიციების გაცნობა, ელექტრონულ ბაზაში პროფილის შექმნა და დახურული საკომუნიკაციო ჯგუფებში დამატება, კოლეგებისთვის წარდგენა, კორპორატიულ ღონისძიებებში ჩართვა, დირექციისა და სტრუქტურული კათედრის

ხელმძღვანელების მხრიდან პერსონალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ფუნქცია-მოვალეობების დეტალური განმარტება და სხვა. დოკუმენტი განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესზე პასუხისმგებელ პირებს.

ინდიკატორი 3.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დასაქმებულებს ჰქონდეთ პირადი მისწრაფებებისა და საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებსა და აქტივობებს. შინაგანაწესით განსაზღვრული წესით, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიღწევები დოკუმენტური გზით ან დააჯილდოვოს ის მატერიალური ღირებულების მქონე საჩუქრით. წახალისების საფუძველი შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო პროცესში თავის გამოჩენა, სამუშაოს მაღალი პროფესიონალიზმით შესრულება, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახური და ა.შ. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ პერსონალის წახალისების პროცესი წარმართოს გამჭვირვალედ და დააფუძნოს სამართლიანობის პრინციპზე

ინდიკატორი 3.2.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინკლუზიური განათლების კითხვარი სპეციალური მასწავლებლისთვის, საგნის მასწავლებლისთვის, დირექციისთვის მშობლისთვის.*
- *ჩატარებული გაკვეთილის შეფასების სქემა; გაკვეთილის რეფლექსია.*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლას აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც ხაზგასმულია მართვის ციკლური მოდელი და პირების / სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა აღიქმება, როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცესების ჯაჭვი. ხარისხის განვითარება, სკოლაში ხორციელდება ოთხ ეტაპიანი მოდელის მიხედვით: დაგეგმა, განახორციელე, შეამოწმე და განავითარე / იმოქმედე, რაც გულისხმობს საწყის ეტაპზე რისკების შეფასებას და სამოქმედო გეგმის შედგენას, შემდეგ სამოქმედო და დამხმარე პროცესების დამტკიცებული წესების შესაბამისად წარმართვას, მიმდინარე პროცესის გეგმიურ და არაგეგმიურ შემოწმებას, გამოვლენილი ხარვეზების გასწორებას, პროცესების მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვას. სკოლს მეთოდოლოგიური დოკუმენტები ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური მოდელით არსის აგებული. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია აღწერს დაგეგმვის პროცესის ხუთ ძირითად ეტაპს: მისიის ხედვის ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო

გეგმების შემუშავების გაზიარებისა და დამტკიცების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შემუშავების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცესი, სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ აღწერს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია, რაც თანხვედრაშია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლით განსაზღვრულ პრინციპებთან.

ინდიკატორი 3.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესები, სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება (დოკუმენტ ბრუნვა); კ) კარიერული განვითარება; სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მათი აღმწერები“, სადაც უფრო დეტალურად, მცირე განსხვავებებით, არის აღწერილი ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები, ასევე პირების, სტრუქტურული ერთეულების როლი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ძირითადი და დამხმარე პროცესების ჯეროვან შესრულებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს სკოლის პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და მათზე რეაგირებას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ სხვადასხვა დოკუმენტში ასახული ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები ერთიანი მიდგომით ჩამოაყალიბოს.

ინდიკატორი 3.3.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები", რომელიც განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების, საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგების დადგენის პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული წესის მიხედვით სკოლაში მოქმედი საჩივრის განხილვის პროცედურები უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფდეს წამოჭრილი საკითხების სამართლიან, მიუკერძოებელ, სრულ გადაწყვეტას. აღნიშნული წესი სკოლაში უნდა იყოს გამოქვეყნებული თვალსაჩინო ადგილას რათა დაინტერესებული მხარეებს ჰქონდეთ დროული წვდომის შესაძლებლობა. გარდა ამისა წესი მიმოიხილავს საჩივრის განმხილველ ორგანოებს და პროცედურებს; აღწერილი ადმინისტრაციული და აკადემიური საჩივრის წარმოების პროცედურები, შემუშავებულია საჩივრის რეგისტრაციის ფორმა, რომლის გამოყენებით და განმცხადებელმა უნდა მიმართოს სკოლას.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „დისციპლინური კომიტეტის დებულება", რომელიც განსაზღვრავს განსაზღვრავს დისციპლინური კომიტეტის ამოცანებს, უფლება-მოვალეობებს და მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს.

საჩივრების სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის სკოლა მხარს უჭერს შემდეგ პრინციპებს: წამოჭრილი პრობლემის არაფორმალური მოგვარების ხელშეწყობა, საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა, საჩივრების პროცედურების სიმარტივე, გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის ფარგლები საჩივრის განხილვის/გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის, საჩივრით წამოჭრილი საკითხების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გამოძიება და გადაწყვეტა. საჩივრის წარმოების საკითხები, ასევე განსაზღვრული სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი 3.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს „მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დოკუმენტი", რომლის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს გასაჩივრებისა და დავის გადაწყვეტის მექანიზმებს, რაც გულისხმობს საჩივრების დამოუკიდებელ მიუკერძოებელ და ეფექტიანი განხილვის საშუალების არსებობას და შესაბამის პროცედურულ გარანტიებს; ინფორმაციულ და მმართველობითი მექანიზმებს: მშობელს და პერსონალს შეუძლია მიიღოს სკოლაში დაცული ინფორმაცია, ასევე

მონაწილება მიიღოს სკოლაში მართვაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ამავე დოკუმენტის მიხედვით მოსწავლეს და მასწავლებელს მინიჭებული აქვთ აკადემიური თავისუფლება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პერსონალის შრომითი უფლებები და ა. შ . გარდა ამისა პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, პირველ რიგში შინაგანაწესით, რომელშიც მოცემულია სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, შრომის პირობების დაცვის წესები, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და ვალდებულებები და სხვა. სკოლას აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა მოსწავლეთა მშობელთა / კანონიერ წარმომადგენელთა პერსონალური მონაცემების დაცვის სტრატეგიებს და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს. სკოლაში დასაქმებული პირები და მოქმედი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ აღნიშნული პროცესების შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი 3.3.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლაში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების დოკუმენტი*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დოკუმენტი;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება*
- *სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფორმა.*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება დისციპლინური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ინფორმირებას მართვის პროცესებთან დაკავშირებით. „მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების დოკუმენტში“ ხაზგასმულია, რომ მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობენ სკოლის მართვის პროცესში; ისინი უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ და მიიღონ სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მათი აზრის მოსმენა და განხილვა, უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით; მიიღონ სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. სკოლას დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს და სტრატეგიებს, კომუნიკაციის პროცესში საჭირო საინფორმაციო საშუალებებს, ასევე დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის და რეაგირების ფორმებს. წესის ერთერთი მიზანია სკოლის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე საკომუნკაციო სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული წესის მიხედვით, საზოგადოებისთან კომუნიკაცის პროცესში, სხვადასხვა არხებით მიღებული უკავშირის შედეგები გამოიყენება სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.3.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მართვის კოლეგიურ ორგანოებში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონით; გარდა ამისა სკოლას მათი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებშიც ჩანს მათ ფუნქციონირებასა და უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები. კოლეგიური ორგანოებში ჩართულობის საშუალება აქვს მშობელს, პედაგოგს, მოსწავლეს, რაც სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევთ დააყენონ ინიციატივები, ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების

პროცესში, გამოხატონ საკუთარი აზრი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დრო, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას. დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს / კანონიერ წარმომადგენლებს გააცნონ სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, სკოლაში დადგენილი აქტივობების შესახებ არსებული და სხვა ინფორმაცია. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის სკოლის ერთერთი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი; მიმდინარე სამოქმედო გეგმაში დაწესებულებას გაწერილი აქვს მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობები.

ინდიკატორი 3.3.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მათი აღმწერები;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;*
- *მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N1.(17.10.2025)*
- *მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის N4 სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N5, N 7, 2025 წ.*
- *2025-2026 სასწავლო წლის საგაზო საფეხურის კლასის კრების ოქმი;*
- *დაწყებითი საფეხურის მშობელთა კრების ოქმი;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები, 2025 წ.*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც სკოლის დირექტორის წარდგინებით დამტკიცებული იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ.

სკოლა წარმოადგენს ორი ბლოკისაგან შემდგარ ნაგებობას: ორსართულიანი და ოთხსართულიანი შენობები ერთმანეთს გადასასვლელებით უკავშირდებიან. შენობის ყველა სართულზე არის განთავსებული საევაკუაციო გეგმები. სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით

(2026 წლის 12 იანვარი, N 2-02 ბრძანება). საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტთან (წერილის საფუძველზე: MIA 0 26 00053829, 12/01/2026).

სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით; შენობის ყველა სართულზე არის განთავსებული ცეცხლმაქრები; შიდა სივრცეები აღჭურვილია დაკვამლიანების დეტექტორებით და ხანძარსაწინააღმდეგო ონკანებით. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით განსაზღვრულია სახანძრო ჯგუფის უფროსი, რომელსაც ევალება ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, შესაბამისი ინვენტარის შემოწმება და სხვ; ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ / ან და უფლებამოსილი უწყების დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვებას შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ, უზრუნველყოფს 2027 წლის 29 იანვრამდე. სკოლას აქვს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე (12/01/2026).

სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, რომელიც ორი თანამშრომლით არის წარმოდგენილი. სკოლას ემსახურება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ორი დარაჯი, რომლებიც არასამუშაო დროს (18:00 სთ. - 08:00 სთ.) უზრუნველყოფენ შენობის დაცვას. სკოლის შიდა სივრცე და გარე პერიმეტრი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო სისტემით, რომლის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. დაწესებულებაში ხორციელდება გარეშე პირების სკოლაში ვიზიტის კონტროლი და წარმოებს ვიზიტორთა აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით:

1. სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (N 002362726; 03/04/2026) დასკვნა, რომლის მიხედვით, შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა **დამაკმაყოფილებელია.** დასკვნის მიხედვით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შენობა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა, რადგან სასკოლო დაწესებულებათა სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს სამ მიწისზედა სართულს და შეიცავს **რეკომენდაციას:**
   „ქალაქ ზესტაფონში მელქაძის ქუჩა N2-ში, N32.10.33.564 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის წაკვეთზე განთავსებული, სსიპ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის N01-ის შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის. ვინაიდან სასკოლო დაწესებულებების სართულიანობა სეისმური

ნორმების მოთხოვნით შეზღუდულია სამ სართულამდე, რეკომენდირებულია მეოთხე სართული გამოყენებული იქნეს სამეურნეო დანიშნულებით და განლაგდეს იმ საგანთა კაბინეტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს ინტენსიური მეცადინეობები“

2. დაწესებულებამ წარმოადგინა მიმართვა შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ (MES 4 26 0000039315, 20/01/2026); ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან მიღებული წერილი (MIA 7 26 00925305; 17/03/2026) სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტთან ერთად, რომლის მიხედვით: „2026 წლის 09 მარტის N78 სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის შესაბამისად დგინდება, რომ სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს“.
   შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლა არაუგვიანეს **2026 წლის ივლისისა** უზრუნველყოფს სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრას.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით; ოთახს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, როგორიცაა სამედიცინო კარადა, გასასინჯი ტახტი, სამედიცინო შირმა, საკაცე, მაცივარი, გორგოლაჭებიანი მაგიდა და სხვ. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხის მიხედვით, დაწესებულებას არ აქვს ექიმის / ექთანის შტატი და არ ჰყავს დასაქმებული სამედიცინო პერსონალი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ.-ის შესაბამისად. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება ექიმი/ ექთანის შტატის შეთანხმებას და კონკურსის გამოცხადებას უზრუნველყოფს 2027 წლის 29 იანვრამდე. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს; ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების დებულება“, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო კაბინეტის სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებს, მართვის ორგანიზაციას და სტრუქტურას, აგრეთვე მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით:
სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 17 დეკემბრის №1800095 ბრძანებაში შეტანილი ცვლილება (MES 2 26 0000364673, 26/03/2026), რომლის მიხედვით, სამედიცინო კაბინეტის/ პუნქტის ფუნქციონირების მიზნით შერჩეული საჯარო სკოლების სიას დაემატა სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლა; ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი (GOV 9 26 00012796; 22/04/2026) საჯარო სამსახურში დასაქმების ერთიან ელექტრონულ პლატფორმასთან წვდომის შესახებ.
შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლა არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა** უზრუნველყოფს სკოლის ექიმის საშტატო ერთეულის შეთანხმებას და კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმებას.
ინდიკატორი 3.4.1.2. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პროცესში ხელმძღვანელობს დოკუმენტით „სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც მომზადებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. გარდა ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ერთობლივად ზრუნავენ დირექცია, მასწავლებლები, კლასის დამრიგებელები და სხვა დასაქმებული პერსონალი. სკოლაში შედგენილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც სასკოლო დროს თვალყურს ადევნებენ მოსწავლეების მიერ წესრიგის დაცვას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სასკოლო დროს საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის საკითხებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ისმენს დირექტორის ანგარიშს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ და სხვა. მრჩეველთა საბჭოს სხდომები იმართება სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ოთხჯერ; საბჭოს რეკომენდაციები წარედგინება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. საბჭოს შემუშავებული აქვს 2025-2026 წწ. სამოქმედო გეგმა, სადაც მთავარ ამოცანებად განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პრევენციის და რეგულირების საკითხები. სკოლაში საჯაროდ არის გამოკრული კანონმდებლობით გათვალისწინებული ცხელი ხაზის ნომრები.
ინდიკატორი 3.4.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრული რეგულაციები უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს არსებობას: მკაცრდა არის აკრძალული მოსწავლეზე ან დასაქმებულ პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მტრული ან დამამცირებელი გარემოს შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს პირისთვის ღირსების შელახვას, დაშინებას შევიწროებას; აკრძალულია სკოლაში კონფლიქტური სიტუაციების შექმნა. უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, სკოლა გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს. მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეთა/კანონიერ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საკითხებზე. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში მოწმეებთან გასაუბრების და შემთხვევის გაანალიზების ფორმას, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დროს გარე უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირების წესს. სკოლაში ბავშვთა მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. დოკუმენტი ადგენს სკოლის ტერიტორიაზე არსებული საფრთხეების რეაგირების მექანიზმებს და ხაზს უსვამს სკოლის სტრუქტურული ერთეულების და მანდატურის სამსახურის კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობას ერთიანი დაცული საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველსაყოფად.

სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს მექანიზმი“, რომლის მიზანი არის მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და მისი ღირსების დასაცავად სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის გარემო ხელსაყრელია მოსწავლეთა სოციალიზაციისთვის: სკოლას აქვს ნათელი დერეფნები, კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი და სპორტდარბაზი, კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების ჩამოყალიბებას და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.4.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელია დასაქმებული ექვსი დამლაგებელი, რომლებიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს სანიტარულ-ჰიგიენური რეგულაციების და შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული პასუხისმგებლობების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში არსებულ დასუფთავების სისტემას და მის პერიოდულობას, დალაგების პროცესის შემოწმებისა და ზედამხედველობის საკითხებს, დამლაგებლისათვის საჭირო ინვენტარისა და საშულებების ჩამონათვალს და სხვა. წესის მიხედვით, სკოლამ უნდა უზრუნველყოს დასუფთავების სამ დონიანი რეჟიმი: ყოველდღიური კომპლექსური დასუფთავება - რომელიც გულისხმობს იატაკების, ზედაპირების, სველი წერტილების მუდმივ წმენდა და დეზინფექციას; ყოველკვირეული დასუფთავება-

მოიცავს ყველა ზედაპირის წმენდას სამ მეტრამდე სიმაღლეზე, სანაგვე ურნების დეზინფექციას; გენერალური დასუფთავება, - გულისხმობს ფანჯრების და შუშის კედლების სრულ წმენდას, რბილი ავეჯის დასუფთავებას და ა.შ. რესურსების მოხმარების უსაფრთხოების მიზნით, სადეზინფექციო ხსნარები და ჰიგიენური საშუალებები უნდა ინახებოდეს იზოლირებულად, სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. ტექნიკური პერსონალისაგან, საჭირო რესურსების ჩამონათვალს ითხოვს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და ის არის პასუხისმგებელი სადეზინფექციო ხსნარების და ჰიგიენური საშუალებების მარაგების შენახვა/ დასაწყობება/ გაცემაზე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობასა და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ- ჰიგიენური ნორმები.

ინდიკატორი 3.4.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა ვალდებულია დაიცვას, როგორც მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, ასევე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების, ადმინისტრაციულ/ტექნიკური პერსონალის პერსონალური მონაცემები. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს; უზრუნველყოფს დამუშავების პროცესის წარმართვას კანონმდებლობის შესაბამისად, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების დაცვის მიზნით; წესის მიხედვით, მონაცემების შეგროვება და დამუშავება მოხდეს სამართლიანად, კონკრეტული ლეგიტიმური მიზნებისთვის და არ შელახოს მონაცემთა სუბიექტის ღირსება და კონკრეტული პირის შესახებ ინფორმაციას დამუშავებას უნდა ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული საფუძველი; სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა კი უნდა განხორციელდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალურ მონაცემთა მიმღებზე. სკოლას ჰყავს განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. გარდა ამისა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები არის სკოლასა და მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანი.

ინდიკატორი 3.4.1.6. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ინფორმაციის დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმი“, სადაც განსაზღვრულია ინფორმაციის დამუშავების ძირითადი პრინციპები, დაცვის მექანიზმები, მონიტორინგის, კომუნიკაციის უსაფრთხოების, გამჭვირვალეობის და ინფორმირებულობის საკითხები. აღნიშნული წესის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის“ მიხედვით, სკოლა ინფორმაციას მკაცრად განსაზღვრული წესებით, სამართლიანობის პრინციპით ამუშავებს და იმ დროით ინახავს, რაც დამუშავების მიზნებისთვის არის საჭირო; სკოლა ინფორმაციას ინახავს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ინფორმაციაზე წვდომა კონტროლდება, ხოლო წვდომის მქონე პირთა წრე მათი უფლებამოსილების შესაბამისად არის განსაზღვრული. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში და მონაცემთა დამუშავება/შენახვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი; საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეების პირადი საქმეები მატერიალური სახით, რომლებიც მოთავსებულია ჩაკეტილ კარადებში. ელექტრონული ინფორმაცია დაცულია არაავტორიზებული წვდომისგან, რასაც ტექნიკურად უზრუნველყოფს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

ინდიკატორი 3.4.1.7. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში ერთერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2025-2026 სასწ. წ.) გაწერილია ამოცანები და აქტივობები, რომლებიც აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება. გეგმის მიხედვით სკოლამ უნდა განახორციელოს უსაფრთხოების სისტემების მუდმივი კონტროლი, მიღებული შედეგები (ოქმები, ანგარიშების სახით) კი გამოყენებული უნდა იქნას არსებული გარემოს გასაუმჯობესებლად, ასევე საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით. სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად ახდენს უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების შეფასებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.8. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმი, სამოქმედო გეგმა (2025 წ.)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი;*
- *მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ინფორმაციის დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;*
- *სკოლის საქმისწარმოების დებულება.*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge,*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო მოსწავლის გათავისუფლების საშვი; სტუმრის საშვი.*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების დებულება*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი*
- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/ დასაწყობება / გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ზესტაფონში, მელქაძის ქ. N2; მისამართზე არსებული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები სკოლას გადაცემული აქვს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთს დაზუსტებული ფართობია 16325.00 კვ. მ. (საკადასტრო კოდი N 32.10.33.564).

მიწის ნაკვეთზე დგას სასწავლო კორპუსი და სამი დამხმარე ნაგებობა. სკოლის შენობა წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებულ, ერთ მისამართზე არსებულ, ერთმანეთთან გადასასვლელებით დაკავშირებულ ერთ ოთხსართულიან და ერთ ორსართულიან კორპუსს, არის სრულად რეაბილიტირებული. სკოლის შენობის საერთო ფართობია 4088.98 კვ. მ; (მათ შორის: I სართული - 1492.31 კვ. მ; II სართული - 1259.81 კვ. მ; III სართული - 668.85 კვ. მ; IV სართული - 668 კვ. მ). სკოლის ეზოში ასევე მდებარეობს საქვაბის შენობა, წყლის რეზერვუარების ნაგებობა და ერთი დამხმარე ნაგებობა.

სკოლის შენობა ახლად რეაბილიტირებულია. ოთხსართულიან კორპუსში, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა ადმინისტრაციული ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებელთა სველი წერტილები, ვაჟების საპირფარეშო (მათ შორის ერთი ადაპტირებული), ექიმის ოთახი, რესურსოთახი, მანდატურის ოთახი დარაჯის ოთახი; ორსართულიან კორპუსში, რომელიც ძირითად ნაგებობას გადასასვლელით უკავშირდება, განთავსებულია საკლასო ოთახი, სპორტდარბაზი, ვაჟებისა და გოგონების გასახდელი ოთახებით და სველი წერტილებით;

მეორე სართულზე, ოთხსართულიან კორპუსში განლაგებულია სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის და ბუღალტრის ოთახი, საკლასო ოთახები, გოგონების საპირფარეშო ერთი ადაპტირებული სველი წერტილით; იგივე სართულზე ორსართულიან ნაგებობაში არის მასშტაბური სააქტო დარბაზი, დამხმარე ოთახით;

სკოლის მესამე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, ვაჟების საპირფარეშოები, მათ შორის ერთი ადაპტირებული.

მეოთხე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, საკლასო ოთახები, პერსონალისთვის განკუთვნილი სველი წერტილები, გოგონებისთვის განკუთვნილი საპირფარეშო, მათ შორის ერთი ადაპტირებული.

სკოლა გათბობისთვის იყენებს ბუნებრივ აირს. შენობაში არის ცენტრალური წყალგაყვანილობა და ელექტროენერგია. საქვაბე მდებარეობს სკოლის შენობიდან უსაფრთხო მანძილზე. სკოლას აქვს დენის გენერატორი.

დაწესებულების შენობა-ნაგებობები ადაპტირებულია ინკლუზიური საჭიროებებისთვის. ორივე კორპუსის შესასვლელთან მოწყობილია პანდუსები. სკოლას აქვს ლიფტი, რომელიც ფარავს ნაგებობის ოთხივე სართულს.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლაში წარმოდგენილი იყო 669 მოსწავლე (30 კლასი). სკოლის შენობა აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და კეთილმოწყობილია. საკლასო ოთახებში დგას ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, პერსონალური კომპიუტერები (უმეტეს ნაწილში) და სხვა საჭირო ინვენტარი, ხელმისაწვდომია ინტერნეტი. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში დგას 30 პორტაბელური კომპიუტერი და 5 პროექტორი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია შედგება ორი იზოლირებული ოთახისგან: საპრეზენტაციო / სამუშაო სივრცისა და რესურსების საცავისაგან. ლაბორატორია აღჭურვილია ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის სწავლებისთვის საჭირო სასწავლო - ლაბორატორიული ინვენტარით და შესაბამისი მასალებით. სამუშაო გარემოში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო და ჰიგიენური ნორმები: გამოყენებულია ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდა, დამონტაჟებულია ხელსაბანები (ორივე ოთახში) და ფუნქციონირებს მექანიკური ვენტილაციის სისტემა. რეაქტივების შენახვა ხდება უსაფრთხოების წესების დაცვით, საცავში არსებულ ჩაკეტილ კარადებში. ლაბორატორიაში არ დგას გამწოვი კარადა.

დაწესებულებას აქვს ვრცელი, გამწვანებული ეზო, სადაც მოწყობილია სანიაღვრები არხები. ეზოში განთავსებულია თანამედროვე სტანდარტების, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, რომელიც სრულად არის შემოფარგლული მაღალი ლითონის ღობით; აღჭურვილია კალათბურთის ფარებით და მინიფეხბურთისთვის განკუთვნილი კარებით.

ეზოს პერიმეტრი სრულად არის შეღობილი და გამიჯნულია მიმდებარე საცხოვრებელი კორპუსებისგან ლითონის ღონით; დაწესებულებას აქვს ერთი ცენტრალური შესასვლელი, რომელიც რკინის ჭიშკრით არის დაცული.

ინდიკატორი 3.5.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მიხედვით, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის მთავარი მიზანია სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებისა და

ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვა ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები და ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის: მოსწავლეებისთვის, პედაგოგებისა და სხვა თანამშრომლებისთვის. წესი ადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიით სკოლის ბიბლიოთეკით, სპორტდარბაზით სარგებლობის ძირითად წესებსა და პრინციპებს, ხაზს უსვამს აღნიშნული რესურსებით სარგებლობის თანასწორუფლებიანობას.

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეები (საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი, კაბინეტები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, დერეფნები, ეზო) და მატერიალური რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლა სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისათვის (მოწყობილია პანდუსები, ფუნქციონირებს ლიფტი); გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების განრიგის შემუშავების პრაქტიკა, აღნიშნული სივრცეებით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 3.5.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შენობის პირველ სართულზე არის განთავსებული.ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, უზრუნველყოფილია კომპიუტერებითა და ინტერნეტით, მაგიდებით, სკამებით, ღია თაროებითა და ნახევრად ღია კარადებით. ბიბლოთეკისთვის განკუთვნილ სივრცეს აქვს სამკითხველოს ფუნქცია. წიგნები აღრიცხულია და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მხატვრული და პროფესიული ლიტერატურის 5097 ერთეული ეგზემპლარი და გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების პროცესს. ბიბლიოთეკარი აღრიცხავს გატანილ წიგნებს, პასუხისმგებელია თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკარს შემუშავებული აქვს სამუშაო გეგმა და სამუშაო კალენდარი. სკოლა დაინტერესებულია წიგნადი ფონდის განახლებით და გაფართოებით.

ინდიკატორი 3.5.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლა სრულად უზრუნველყოფს ფიზიკური გარემოსა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. შენობის მთავარ შესასვლელებთან (ორივე კორპუსში) მოწყობილია პანდუსები, რომლებიც უზრუნველყოფს გარე სივრციდან შენობაში შეუფერხებლად შესვლას. სკოლას აქვს ლიფტი, რომელიც ხელმისაწვდომია შენობის ოთხივე სართულზე, რაც შშმ პირებს საშუალებას აძლევთ თანაბრად ისარგებლონ სკოლის ნებისმიერი სკოლის ნებისმიერი სივრცით. ადაპტირებული სველი წერტილები განთავსებულია შენობის ოთხივე სართულზე. პირველ სართულზე მდებარეობს რესურსოთახი, რომელიც სპეციალური ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსით არის აღჭურვილი. გამართული ინფრასტრუქტურის დამსახურებით, შშმ პირთათვის სრულად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მნიშვნელობანი წერტილი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ადმინისტრაციული სივრცეები, ექიმის ოთახი, ბიბლიოთეკა და სხვ. სკოლა სრულად უზრუნველყოფს სასკოლო სივრცეების და კურიკულუმით განსაზღვრული რესურსის ხელმისაწვდომობას, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ მრავალფეროვანი აქტივობები, მაგალითად კულტურული, შემეცნებით, სოციალური, სპორტული. სკოლაში არსებობს სივრცეები, რომლებიც მოსწავლეებს კომუნიკაციის, თანამშრომლობის, იდეების გაზიარების საშუალებას აძლევთ. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კერძოდ, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, საკონფერენციო აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, უზრუნველყოფილია ინტერნეტითა და კომპიუტერული ტექნიკით, სასწავლო რესურსით, რაც სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები და გაუზიარონ ერთმანეთს მიღწევები და ხელს უწყობს სოციალური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას

ინდიკატორი 3.5.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზი*

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულება.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
- *ინვენტარიზაციის აქტი; საინვენტარო აღწერილობები (2025 წ.)*
- *სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი;*
- *სასაქონლო ზედნადები;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*
- *ინვენტარიზაციის აქტი;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების დებულება;*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;*
- *კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები.*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ (10.11.25 წ)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების გამართულად და სრულფასოვნად წარმართვას. დაწესებულების მფლობელობაშია, მუშა მდგომარეობაში არსებული 20 პერსონალური კომპიუტერი, 63 ლეპტოპი, 4 პრინტერი, 8 პროექტორი, მასწავლებლის ლეპტოპები, ე.წ. „ბუკები“. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პორტაბელური კომპიუტერებით, პროექტორებით და სხვა საჭირო ინვენტარით. ლაბორატორიაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული სარგებლობის წესები. პერსონალური კომპიუტერები, ძირითადად, დგას საკლასო ოთახებში.

საჭირო კომპიუტერული ტექნიკით სრულად არის აღჭურვილი სკოლის ადმინისტრაციის, სპეციალური მასწავლებლის და ბიბლიოთეკარის სამუშაო სივრცეები. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის უზრუნველყოფილია კომპიუტერული რესურსებით შეუფერხებელი წვდომა. კომპიუტერული ტექნიკის გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას, სკოლის ინტერნეტ ქსელით მომსახურებას, უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულფასოვნად წარმართვას.

ინდიკატორი 3.6.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლას „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“ არეგულირებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების საკითხებს, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის ერთერთი მიზანია ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში თვალსაჩინოდ არის გამოკრული „კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის წესი”.

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ციფრული განვითარების გეგმა“, რომელიც მიმოიხილავს კომპიუტერული ტექნიკის ფიზიკური ხელმისაწვდომობის, მისი მიზნობრივი გამოყენების საკითხებს. აღნიშნული გეგმის მიხედვით, კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობა უნდა მოხდეს წინასწარ შემუშავებული სამუშაო განრიგის შესაბამისად, რაც მოიცავს როგორც საგაკვეთილო, ასევე გაკვეთილების შემდგომ პერიოდს. სარგებლობის პროცესი უნდა განხორციელდეს მორიგე პედაგოგების ზედამხედველობით. სკოლაში მოწყობილია საზიარო სივრცეები კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკასა და საკონფერენციო დარბაზში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სახლში არ აქვთ კომპიუტერთან წვდომა. სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები მუდმივად უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი საჭირო ტექნიკით, სამუშაო პროცესის შეუფერხებლად

წარმართვის მიზნით. ტექნიკის მიზნობრივ გამოყენებას და წესების დაცვაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგი და დირექტორის მოადგილე, ტექნიკური გამართულობას კი უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლაში არსებული რესურსები და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნოლოგიების ეფექტიან, უსაფრთხო და სამართლიან გამოყენებას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ინდიკატორი 3.6.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ციფრული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსების გამოყენების წესი.*
- *მიღება-ჩაბარების აქტები: კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერები, პროექტორები, სხვა.*
- *საინვენტარიზაციო აღწერილობის აქტები, 2025 წლის ნოემბერი.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში დოკუმენტბრუნვის სისტემას, რაც გულისხმობს ელექტრონულ/ მატერიალურ დოკუმენტებზე მუშაობის წესებს, აგრეთვე იურიდიული და ფიზიკური პირებისგან შემოსული წერილების, განცხადებებისა და სხვა დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციის, დამუშავებისა და შენახვის წესებს.

დაწესებულება აწარმოებს დოკუმენტაციას ელექტრონული და მატერიალური სახით. სკოლაში, შესაბამის წიგნებში მატერიალური სახით აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, დირექტორის საერთო ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები და სხვა. საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტისთვის სავალდებულო რეკვიზიტებს. მატერიალური აღრიცხვის ჟურნალები არის აკინძული, დანომრილი, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ფუნქციებს სკოლაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი.

წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, სკოლამ გაითვალისწინა **რჩევა** და საქმისწარმოების წესში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვით კოლეგიური ორგანოების ოქმების დანომვრა ხდება კალენდარული წლის ფარგლებში (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-101; 08.05.2026, დანართით).

ინდიკატორი 3.6.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის დეტალური ასახვა ხდება სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). დაწესებულება ინფორმაციის მიღება-გავრცელების და სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით იყენებს ვებგვერდს სკოლების პორტალზე, ელექტრონულ ფოსტას და სოციალურ ქსელში (Facebook) არსებულ სკოლის ვებგვერდს.

ინდიკატორი 3.6.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლა წარმოდგენილია სრულყოფილით პროფილით ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის ვადებში სრულყოფილად აისახება სხვადასხვა ინფორმაცია, კერძოდ, სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების განახლებული მონაცემები; პირველკლასელთა რიცხოვნობის განსაზღვრა; საგაკვეთილო განრიგი; საშტატო ნუსხა, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა, მოსწავლეების, მშობლებისა და პერსონალის მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორი 3.6.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს, ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებლ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლას, საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომლის დაცვითაც უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს; ასევე, ყოველი წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და სხვა სტრუქტურებს წარუდგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშებს. სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამეურვეო საბჭოს N7 ოქმი, დანართებით (2025 წ.)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საქმისწარმოების დებულება;*
- *10 დეკემბრის წერილი საჯარო ინფორმაციის თაობაზე*
- *საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;*
- *დანართი სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი;*
- *სპეციალური მასწავლებლების ანგარიში I სემესტრის ბოლოს (2025-2026 სასწ.წ.) ;*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის არხებად იყენებს სკოლის ოფიციალურ გვერდს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სკოლების პორტალზე, გვერდს სოციალურ ქსელში (Facebook), სკოლის ელექტრონული ფოსტას (zestaponi4@mes.gov.ge), სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებასთან კავშირის მექანიზმებს. აღნიშნული წესის მიზანია გამჭვირვალე საკომუნკაციო სტრატეგიის განხორციელება, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების შექმნა სკოლის შიგნით და გარეთ, სკოლის იმიჯის გამყარება, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირი. საინფორმაციო მასალების, მარეგულირებელი აქტების განთავსება ხდება სკოლის საინფორმაციო კუთხეში, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. სკოლა თანამშრომელთა ინფორმირებისთვის იყენებს შეხვედრების ფორმატს, ერთიან ელექტრონულ საკომუნიკაციო სისტემას, ელექტრონულ ფოსტას, სატელეფონო კავშირს და სხვა.

ინდიკატორი 3.6.3.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დირექცია ამ ინფორმაციის გავრცელების დროს ეყრდნობა დამადასტურებელ მასალას, პასუხისმგებლობას იღებს გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობასა და სისწორეზე. ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება ელექტრონულად სკოლის ოფიციალურ გვერდზე (სკოლების პორტალი) და სოციალურ ქსელში (Facebook), ასევე მატერიალურად სკოლის საინფორმაციო სივრცეში (ფოიე, დერეფნები). აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის საჯარობას. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მუდმივად განახლებადია.

ინდიკატორი 3.6.3.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, განსაზღვრავს საზოგადოებისგან, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ფორმებს და მათი გათვალისიწინების საკითხს; სხვადასხვა არხებით მიღებული უკუკავშირის შედეგები უნდა გამოყენებული უნდა იქნას სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ამ მიზნით კი სკოლა უნდა განახორციელოს სხავდასხვა საკომუნიკაციო არხით შემოსული კითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში, უკუკავშირის მისაღებად დაწესებულება მიმართვას უშუალო შეხვედრებს, იყენებს სოციალურ ქსელში არსებულ გვერდს სადაც ქვეყნდება სკოლის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობებს, Teams პლატფორმას, კითხვარებს და სხვ. მიღებული უკუკავშირის შედეგებს, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებისთვის, ხარისხის გასაუმჯობესებლად, სამომავლო ღონისძიებების დასაგეგმად.

ინდიკატორი 3.6.3.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი გვერდი სკოლების პორტალზე, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, (skolebi.emis.ge.) სკოლა საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე; შესაბამისად ვებ.გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის გვერდი განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge) შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სახელწოდებები, სტარტეგიული და

სამოქმედო გეგმები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, რეგულაციები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. ვებგვერდზე ასახული ინფორმაცია მუდმივად განახლებადია.

ინდიკატორი 3.6.3.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.*
- *სკოლის გვერდი განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის პროფილი მართვის საინფორმაციო სისტემაში;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლის ძირითადი წყაროა მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება, სამინისტროდან მიღებული დამატებითი დაფინანსება მასწავლებლების მიზნით, სპეცმასწავლებების/ მასწავლებლების დანამატი, სსსმ მოსწავლეების დაფინანსება. დაფინანსების ძირითადი ნაწილი ხმარდება შრომის ანაზღაურებას, სკოლისთვის საჭირო ინვენტარის და მასალების შეძენას, კომუნალურ თუ საოფისე ხარჯებს და ა.შ. მომდევნო წლის ბიუჯეტი იგეგმება წინა წლის 10 დეკემბრამდე. დაგეგმვა ეფუძნება არსებულ საჭიროებებს, პროგნოზებს, წინა წლების გამოცდილებას. ამასთან დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ შესაძლებლობებსა და ხარჯებს. აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის კორექტირება; კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლის დირექტორი ყოველი წლის ათ დეკემბრამდე სამურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი 3.7.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ქმნის საპროგნოზო ბიუჯეტს, სადაც გაწერილი არის მოსალოდნელი შედეგები და ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლის დირექტორი, ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს და ეყრდნობა როგორც გასული წლის გამოცდილებას, ასევე სამომავლო საჭიროებებს და გათვლებს. ბიუჯეტის პროექტი დასამტკიცებლად წარდგინება სამეურვეო საბჭოს. ფინანსები ნაწილდება წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში ხდება კორექტირება, რაც გულისხმობს მოქნილ და რეალურ საჭიროებებზე მორგებულ დაგეგმვას.სკოლის მიერ შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება ხდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის“ მიხედვით, შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე. შესყიდვების გეგმის დამტკიცება ხდება ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, რასაც წინ უძღვის შესყიდვების დაგეგმვა და ბაზრის კვლევა. სკოლა აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს, ერთმანეთს ადარებს დაგეგმილი და ფაქტობრივი მონაცემებს. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოსთან ხდება ანგარიშის წარდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს კომპლექსური მიდგომა ფინანსების ხარჯვის მიმართ.

ინდიკატორი 3.7.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი N 7 (2025 წ.)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი*

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის დირექტორია ბრძანება სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ (10.11.2025.)*
- *საქონლის მიღება - ჩაბარების აქტები (2025 წ.)*
- *სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგების აქტი N1; საინვენტარიზაციო აღწერილობანი (2025 წ.)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწ. წ.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ (19.11.2026)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები რომელთა გამოყენებით ხდება მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განაზღვრავს სკოლაში სასწავლო პროცესის რეგულირების ზოგად ნორმებს განცხადების საჩივრის განხილვის წესს, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეებს და სხვა. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეების საჭიროებებზე არის ორიენტირებული და მიზნად ისახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს; სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენებას;

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს დაწესებულება ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის № 06/ნ დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს“ და აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავებულ და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ "სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს და პირობებს"

„სკოლაში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების დოკუმენტი“ აღწერს მოსწავლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორიცაა განთლების მიღების უფლება, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობა, სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება, შეკრების, გამოხატვის, გაერთიანების. რწმენის თავისუფლება, დისკრიმინაციისა და ძალადობრივი გარემოსაგან დაცვის აუცილებლობა.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობას არეგულირებს დირექტორის ბრძანების დამტკიცებული „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“; თვითმმართველობის ამოცანაა, ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებას და მმართველობის საკითხებში მოსწავლეთა ჩართულობას, წარმოადგინოს და დაიცვას მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, ორგანიზება გაუწიო საგანმანათლებლო აქტივობებს და ა.შ.

სკოლას დამტკიცებული აქვს „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სკოლის უფლებამოსილებას და ვალდებულებებს, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებს, ინფორმაციის გაცვლის და კონფიდენციალურობის საკითხებს. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური.

ინდიკატორი 4.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები გამოკრული არის სკოლის საინფორმაციო სივრცეში და უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. მოსწავლის უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტები (შინაგანაწესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის უფლებების დაცვის წესი და სხვ.) გამოქვეყნებულია სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge) და ყველა დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)", რომლის მიხედვით დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს; ამასთანავე სკოლა უფლებამოსილია მოსთხოვოს მშობელს/წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დაცვა. დამრიგებლის მიერ მშობლისთვის შინაგანაწესის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესისა და პირობების გაცნობა განსაზღვრულია ასევე „დამრიგებლის მუშაობის დებულებით".

ინდიკატორი 4.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მშობელთან / მის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიზანია ორ მხარეს შორის წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირება; ხელშეკრულებაში გაწერილია ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა პირობები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრულია, როგორც აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

ინდიკატორი 4.1.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბავშვის მიმართა განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქცია*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.*

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის სკოლაში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების დოკუმენტი.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს და პირობები*
- *სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმებით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ელექტრონული რეგისტრაციის, ჩარიცხვისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტის კლასისა და საფეხურის დაძლევის და სხვა საკითხებს. გარდა ამისა, კლასისა და საფეხურის დაძლევს საკითხები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ასახული არის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, სკოლამ გაითვალისწინა **რჩევა** და მოსწავლეთა ჩარიცხვის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში შეიტანოს ცვლილება იურიდიული მისამართის მიხედვით მოსწავლეთა რეგისტრაციის შესახებ (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-100; 08.05.2026, დანართით).

ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცესის ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნება განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით და აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება, დაცულია პროცედურები და ვადები; კანონთან შესაბამისობაშია სკოლაში ჩარიცხვის მსურველი პირის წარსადგენი დოკუმენტაცია. მოსწავლეთა მიღების, ჩარიცხვის დროს სკოლა ითვალისწინებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს.

ინდიკატორი 4.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეები, პირობები, საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო მიზნები და ამოცანები, სწავლების ორგანიზების ფორმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასები გზები, არაფორმალური განათლების საკითხები და სხვა. სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შიდა პოლიტიკის განმსაზღვრელი სხვადასხვა დოკუმენტი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, როგორც მატერიალური ისევე ელექტრონული სახით; სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელს აქვს ვალდებულება სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები და ინფორმაცია საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ გააცნობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. დაწესებულების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, ქცევის წესების მარეგულირებელი და მხარდამჭერი სერვისების ამსახველი დოკუმენტები გამოქვეყნებულია ელექტრონულად სკოლის გვერდზე და მატერიალურად, საინფორმაციო კუთხეში. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის განახლებას.

ინდიკატორი 4.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამების, რესურსების შესახებ გამჭვირვალეა; სკოლის დირექცია, დამრიგებლები, მუდმივად ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესების, ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. სკოლის მიერ შემუშავებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის“ თანახმად შიდა თუ გარე კომუნიკაციის დროს, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სიზუსტე და გონივრული ვადა, გამოიყენოს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის გასაუმჯობესებლად .

დამრიგებლები გეგმავენ და ატარებენ მშობელთა კრებებს; სკოლას და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მშობლის ინფორმირების ვალდებულებას. სასკოლო თემის ინფორმირების მიზნით გამოიყენება სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook). დაწესებულება ზრუნავს, მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური, ხელმისაწვდომი, არ იყოს დისკრიმინაციული, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები.

ინდიკატორი 4.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;*
- *სადამრიგებლო პროგრამა.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი*
- *სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ის წარმოადგენს შიდა სასკოლო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ადაპტაციის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლებიც ვრცელდება სკოლის ყველა დასაქმებულზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე. აღნიშნული წესი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა, ასვე ენობრივი ბარიერი მქონე მოსწავლეთა ინტეგრაციის გასამარტივებლად. ადაპტაციის პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასწავლო დატვირთვასა და საგანმანათლებლო პროგრამების სირთულეს, კულტურულ განსხვავებულობას, ენობრივ ბარიერს და სხვა ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის ადაპტაციის პროცესზე. წესის განსაზღვრავს პირველკლასელთა, მობილობით გადმოსულთა, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის პროცედურებს, წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნებს, დეზადაპტაციის არსებობის დროს განსახორციელებლ ღონისძიებებს და რეაგირების მექანიზმებს. სკოლა ვალდებულია ადაპტაციის წესი გააცნოს სკოლაში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი 4.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ იმოქმედოს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის შესაბამისად. „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ მიხედვით, ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამრიგებლის როლი. დამრიგებელმა უნდა გააცნოს ახალი მოსწავლე კლასს, წაახალისოს მოსწავლეები რომ დაამყაროს კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან, დაგეგმოს ისეთი კოორდინირებული ქმედებები და აქტივობები, როლებიც ახლა წევრს გაუიოლებს ჯგუფთან კომუნიკაციას. მნივშენლოვანია მშობლის ჩართულობა და მისი დროული ინფორმირება მოსწავლის ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნების შესახებ. მოსწავლის ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში.

ინდიკატორი 4.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლა მოსწავლეებს დახმარებას უწევს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლე ვერ დაძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით საგნისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ბარიერს, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის მიხედვით, სკოლა ქმნის რემედიაციის პროგრამას თითოეული მოსწავლისთვის და განსაზღვრავს გონივრულ ვადას აღნიშნული პროგრამის დასაძლევად.

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს რემედიაციის წესი, რომლის მიზანია იმ მოსწავლეთა მხარდაჭერა, რომლებსაც აქვთ კონკრეტული აკადემიური პრობლემები და საჭიროებენ დამატებით დახმარებას, რათა გააუმჯობესონ სწავლების შედეგები. რემედიაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ინტერვენციების დაგეგმვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა; სარემედიაციო აქტივობების ჩატარება; პროგრესის მონიტორინგი – შუალედური შეფასება (საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა სასწავლო მასალასა და სტრატეგიებში) და საბოლოო შეფასება. მოსწავლის საჭიროებას პედაგოგი ადგენს, რომელიც საგნობრივ კათედრაზე განიხილავს რემედიაციის საჭიროებას, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ათანხმებს დირექტორის მოადგილესთან.

ინდიკატორი 4.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებას და მათ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას შემდეგი მექანიზმებით: პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადების შემდეგ, სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების დროულ ინფორმირებას რათა მშობლებს მიეცეთ შესაძლებლობა კანონით დადგენილ ვადებში

შეუფერხებლად განახორციელონ მოსწავლეთა სკოლაში რეგისტრაცია; დროულად ხდება მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება, ელექტრონული ბაზების გამართვა, რაც ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობას განაპირობებს; პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი" რომელიც წარმოადგენს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს და აწესრიგებს პირველკლასელთა რეგისტრაციის, მობილობის, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარებისა და მოსწავლის ჩარიცხვის საკითხებს.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაშ დანერგილია და ფუნქციონირებს სხავდასხვა ტიპის გამოცდების ჩატარების მექანიზმი, როგორიცაა საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნატის გამოცდა, სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა. სკოლა ქმნის გარემოს სადაც დაცულია მოსწავლეთა უფლებები, ხოლო ადმინისტრაციული პროცესები სრულდება გონივრულ ვადებში.

ინდიკატორი 4.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები", რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული. აღნიშნული წესის მიხედვით ინიციატივა შეიძლება იყოს, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი. მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს შეუძლია მიმართოს დამრიგებელს, დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობას. დირექტორს შეუძლია შექმნას მხარდამჭერი ან მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან არაფორმალური აქტივობების შეუფერხებლად წარმართვაზე. დირექცია ახდენს რესურსების მობილიზებას მოსწავლის იდეების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ზრუნავს მოსწავლეთა იდეების განხორციელებისთვის თანასწორი გარემოს შექმნაზე.

სკოლა ხელს უწყობს არაფორმალური განათლების დანერგვას და სასკოლო საზოგადოების დაინტერესებას აღნიშნული საკითხით. სკოლაში ფუნქციონირებას მოსწავლეთა რამდენიმე კლუბი: ლიტერატურულ შემოქმედებითი კლუბი - სხივი; ეკო-კლობი - ,,four4"; ჯანსაღი ცხოვრების წესი - „fit club"; ბავშვის უფლებათა დაცვის კლუბი - „crdo". სკოლა შეიმუშავებს კლუბის დებულებებს და სამოქმედო გეგმებს, წლის განმავლობაში გეგმავს სხვადასხვა ტიპის საკლუბო აქტივობებს.

სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულ ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო, პროექტებში მონაწილეობენ სასწავლო და სპორტულ ოლიმპიადებში; შემეცნებით კონკურსებში; მხატვრულ და შემოქმედებით ღონისძიებებში. აღნიშნულ აქტივობებში მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს, უწევენ კონსულტაციებს და მეგზურობას.

2023 წ. სკოლა ჩაერთო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ევროპის საბჭოს მიერ მხარდაჭერილ პროექტში: ,,სასკოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირება", რომელიც ემსახურებოდა მოსწავლეთა და ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდას სათემო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და მიზნად ისახავდა მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერებას, დემოკრატიული არჩევნების პრინციპების დაცვას და სკოლის საჭიროებების იდენტიფიცირებას. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მიიღეს ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

სკოლაში სისტემატურად ტარდება შემეცნებითი, სადღესასწაულო, ინტელეაქტუალური ღონიძიებები, რომელთა ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები, დირექცია, პედაგოგები, სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. საზოგადოების დროული ინფორმირების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს გვერდს სოციალურ ქსელში (Facebook), სადაც ქვეყნდება ღონისძიების ამსახველი მასალები და ანგარიშები.

ინდიკატორი 4.2.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლას აქვს მზაობა სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე განახორციელოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის მიხედვით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ ინფორმაცის და უკუკავშირს სკოლა იყენებს სკოლის განვითარებისა და თავისი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული ასევე ჩანს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში: „ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" მიხედვით, სკოლა მუდმივად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს და ინტერესებს, მიღებული უკუკავშირი კი სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საფუძველი შეიძლება გახდეს; კურიკულუმის შემუშავების და მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლას აქვს განსაზღვრული უკუკავშირის არხები, რომელთა გამოყენებით მიღებულ ინფორმაციას იყენებს სკოლა კურიკულუმების შემუშავების და რევიზიის დროს, ითვალისწინებს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 4.2.1.6. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი*

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის „ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;*
- *სადამრიგებლო პროგრამა.*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *პროექტი „მოსწავლეთა მონაწილეობითი ბიუჯეტირება სკოლაში“, ანგარიში.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ხელს უწყობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობას. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ერთერთ სტრატეგიული მიზნად ისახავს მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესებას, რომლის მისაღწევი ერთერთი აქტივობაა კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. გეგმის მიხედვით აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის გაწევა არის დამრიგებლების კომპეტენცია. სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების მიხედვით, დამრიგებელი მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს სამომავლო გეგმების დასახვაში, ასევე ხელი შეუწყოს საკუთარი ინტერესების და შესაძლებლობების აღმოჩენასა და შემდგომ განვითარებაში, დამრიგებლის მუშაობის ერთერთი მიმართულება არის მეწარმეობის უნარს განვითარება, რათა მოსწავლები სამომავლოდ თავად გახდნენ მეწარმეები და დაასაქმონ სხვა ადამიანები.

საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების კონცეპტუალურ ნაწილში ასახულია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, რომლის მიზანია მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების შესაძლებლობების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში. მათი აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან რომელიც ერთ-ერთ მიზნად ისახავს მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციას და მათი პროფესიულ ორიენტაციის ხელშეწყობას.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან სკოლამ გააფორმა ერთობლივი დეკლარაცია (2023), რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მოზარდი თაობის პროფესიული ორიენტაციისა და არაფორმალური განათლების (მათ შორის მოხალისეობრივი საქმიანობის) პროექტების გაძლიერება და ხელშეწყობა,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და სკოლას შორის გაფორმებულია მემორანდუმი (2025), რომლის მიხედვით უნივერსიტეტების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები სასწავლო კომპონენტის ფარგლებში განახორციელებენ სკოლის დაინტერესებული მოსწავლეებისთვის ფაკულტატური კურსის სახით სხვადასხვა დარგობრივი საკითხების ინტერაქტიური მეთოდიკის გამოყენებით სწავლებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწესებულება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიმართულებით ასევე თანამშრომლობს ადგილობრივ კოლეჯთან „კონსტრუქტ 2“ და ქუთაისის მრავალპროფილურ კოლეჯ იბერიასთან. თანამშრომლობა ითვალისწინებს ექსკურსიებს საწარმოოო დაწესებულებებში სხვადასხვა პროფესიების გაცნობის მიზნით, ერთობლივი პროექტების განხორციელებას და სხვ.

ინდიკატორი 4.2.2.1 . შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა მუდმივად ახდენს მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია გასვლითი ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებში, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით, ასევე პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა და კონკრეტული პროფესიების გაცნობა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი არიან სკოლის ადმინისტრაცია და კლასის დამრიგებლები, გარდა ამისა, როგორც აღნიშნული იყო, სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და კოლეჯებთან; თანამშრომლობის ზოგადი ასპექტები გულისხმობს: მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით; მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო/პროფესიული კოლეჯის პროგრამების გაცნობას; ღია კარის დღეების ორგანიზებას; ერთობლივი შემეცნებითი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას. სასკოლო სასწავლო გეგმა კუთხით ითვალისწინებს მშობლებთან შეხვედრების ორგანიზებას და კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე მათ ინფორმირებას.

ინდიკატორი 4.2.2.2 . შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის დირექციასთან / პროფორიენტაციის საკითხებში ჩართულ პირებთან ინტერვიუს და სკოლის თვითშეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რომ სკოლა ინტერესდება პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით გაწეული მომსახურების შედგებით, ასევე ინფორმაციით კურსდამთავრებულთა პროფესიულ მიღწევების შესახებ. სკოლას აქვს მზაობა, რომ სამომავლოდ აღნიშნული მიმართულებით აწარმოოს კვლევა. ასევე უნდა აღინიშნოს რომ სკოლის ხარისხის განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდულ და სისტემურ შეფასებას, სამომავლო განვითარებისთვის.

ინდიკატორი 4.2.2.3 . შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მემორანდუმი „სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ და სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, 08.04.2021*
- *შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და სსიპ ქალაქ ზესტაფონის № 4 საჯარო სკოლის ერთობლივი დეკლარაცია 23.12. 2023*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლას შორის 13.03.2025*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.*
- *პროფესიული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობების ანგარიშები, სამადლობელი წერილები და სერტიფიკატები*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის მიხედვით ინკლუზიური განათლება არის ერთერთი მთავარი პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი. ეს გულისხმობს ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფას , უნივერსალური დიზაინის გამოყენება სწავლა -სწავლების პროცესში, რესურსების თანაბრად განაწილების პოლიტიკას. სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „ინკლუზიური განათლების დებულება“. დებულება ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მოქმედ კანონმდებლობას, ის განმარტავს სსსმ მოსწავლის ცნებას, ადგენს სკოლაში მოსწავლის მიღების პროცედურას, ხელს უწყობს ამ ბავშვებისათვის სასურველი და ადეკვატური გარემოს შექმნას და ინკლუზიური განათლების ეფექტურ მართვას. მასში აღწერილია სკოლაში სსსმ მოსწავლის მიღების, აკადემიური მოსწრების შეფასება, დასწრება და გაცდენების, შინ სწავლების, ინკლუზიური განათლების მართვის საკითხები და რეგულაციები.
გარსა ამისა სკოლას დამტკიცებული აქვს „სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის მექანიზმი“, რომელიც არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. კერძოდ, განსაზღრავს სწავლის დაწყებისთანავე (პირველ კლასში) სსსმ სტატუსის მიღების, მოსწავლის სტატუსის მქონე პირებისათვის სსსმ სტატუსის მოპოვების, სტატუსის მოხსნის, კონფიდენციალობის უზრუნველყოფის, მონიტორინგის საკითხებს. რეგულაციის მიხედვით, სკოლა ვალდებულია წელიწადში ორჯერ პედსაბჭოს სხდომაზე მოისმინოს და შეაფასოს ისგ ჯგუფის მუშაობის საკითხი, ასევე შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც წლის ბოლოს შეაფასებს ისგ ჯგუფის შედეგებს და ინფორმაციას წარუდგენს სკოლის დირექციას; დირექტორი ვალდებულია მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა წარუდგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს. სკოლა ვალდებულია მინიმუმ სამ თვეში ერთხელ მოახდინოს მშობლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის მიღწევების შესახებ.
სკოლას ემსახურება ოთხი სპეციალური მასწავლებელი; ვიზიტის პერიოდში ჰყავდა 21 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული (პანდუსები, ლიფტი, სველი წერტილი, რესურსოთახი) და და შექმნილია განსხვავებული საჭიროების მქონე პირთათვის აუცილებელი ფიზიკური გარემო.
ინდიკატორი 4.2.3.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მოსწავლის განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადების ჩართულობა ჩანს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციაში და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებში. დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას თოთოეული საგნისთვის, მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად, მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვით; ისგ ჯგუფის მუშაობის შედეგები წელიწადში ორჯერ განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე; ისგ ჯგუფის მუშაობას აფასებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და წარუდგენს დირექციას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განვითარების კითხვარი მშობლებისთვის, რომელიც ემსახურება მიღებული მომსახურების შეფასებას და უკუკავშირის მიღებას; სკოლას მომზადებული აქვს კითხვები სპეციალურ მასწავლებელთან სიღრმისეული ინტერვიუს ჩასატარებლად, ასევე კითხვარები დირექციასთან და საგნის პედაგოგებთან, ინკლუზიური გარემოს, სასკოლო საზოგადობის ჩართულობაში არსებული გამოწვევების, რესურსებით უზრუნველყოფის და სხვა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. სპეციალური მასწავლებლები ამზადებენ სემესტრულ ანგარიშებს; ინკლუზიური განათლების ჯგუფი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ამზადებს დასკვნებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2025-2026 სასწავლ წლის „ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა“ სადაც განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, განხორციელების დრო და პასუხისმგებელი პირები. გარდა ამისა, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და შესრულების მონიტორინგის საკითხები; აღნიშნული გეგმის მიმდინარე აქტივობებში განსაზღვრულია სსსმ მოსწავლეების მშობლებთან მუდმივი კომუნიკაცია მოსწავლისათვის სასწავლო/აღმზრდელობითი პროცესის დაგეგმვისას და სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის გაუმჯობესება.

ინდიკატორი 4.2.3.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის მექანიზმი;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ.წ.*

- *სკოლის შიდა მონიტორინგის დასკვნა 2025წ.*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;*
- *სპეციალური მასწავლებელთა სემესტრული ანგარიში;, 2025 წ.*
- *დანართი - საგანმანათლებლო რესურსები.*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025 -2026 სასწავლო წელი*
- *ინკლუზიური განათლების კითხვარები მშობლისთვის, დირექციისთვის, საგნის მასწავლებლისთვის, სპეციალური მასწავლებლისთვის ; სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარები სპეციალური მასწავლებლისთვის*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტის მომსახურებით „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ.წ.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4	☒ შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლას 2025 წლის 12 დეკემბერის ბრძანებით აქვს დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები და პრინციპები. დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია და გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს და შეხედულებებს. მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესში ჩართული მხარეების ფუნქციებს და საზოგადოების ინფორმირების შესაძლებლობას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, სკოლაში ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკის არსებობა. კათედრის წევრები ერთობლივად განიხილავენ საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, შესაძლებლობებს, ინტერესებს და შესაბამისად გეგმავენ საგნობრივ კურიკულემებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ავტორიზაციის ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს შორის გამართული ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. ასევე, კურიკულუმების შემუშავების პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების გათვალისწინებას. საავტორიზაციო პროცესში წამოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები და კითხვარები, რომლებიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლაში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში დანერგილია ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა. როგორც კათედრის შიგნით, ისე კათედრებს შორის, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლო საჭიროებები და ინტერესები, ასევე კოლეგების შეხედულებები და რეკომენდაციები. მასწავლებლები კურიკულუმის შექმნისას განიხილავენ თითოეული თემის შესაბამის საკითხს, მსჯელობენ ამ საკითხის შესახებ მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირის. სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნილი კურიკულუმები, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და შემდეგ უკვე სამეურვეო საბჭოს. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში.

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია მათი ინფორმირება და უკუკავშირის მექანიზმები. მშობლების ინფორმირება და ჩართულობა კურიკულუმის შესახებ ხდება დამრიგებლების მიერ მოწვეულ მშობელთა კრებების მეშვეობით და ასევე სოციალური ქსელებით. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ტარდება მშობლებთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მშობლებს დამრიგებლის მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ. ასევე თითოეული საგანში წინასწარ გაწერილია საგნობრივი კურიკულუმების შინაარსი, მიზნები, შედეგები და შეფასების სისტემები.

ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *მშობლების უკუკავშირები (კითხვარი);*
- *მშობელთა კრების ოქმი N1 (15.09.2025).*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის რევიზიის დროს ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი, მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ***ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) სამივე საფეხურზე დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, რის მიხედვით ასახულია კონკრეტული საკითხები, მოკლევადიანი (შუალედური) და გრძელვადიანი მიზნები, სასწავლო რესურსები რის მიხედვით მოსწავლე მოახდენს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას (მაგ: მე და საზოგადოება- „კომიქსის შექმნა“; ჩვენი საქართველო- „ბანიანი სახლის მაკეტი“; მოქალაქეობა- „პოსტერი უსაფრთხო სკოლის შესახებ“; ისტორია- „სტატია ალექსანდრე მაკედონელის შესახებ“; გეოგრაფია- „პოსტერი დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის გეოგრაფიული მნიშვნელობის შესახებ“ და სხვ,) და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული კონკრეტულ შედეგზე გასვლას, რაც მკაფიოდ არის ასახული კურიკულუმებში. ***ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება შემოქმედებითი ტიპის

	დავალებები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს და უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ***ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური (საკითხები,თემები, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული მუსიკასა და ხელოვნებაში განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან და საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნობრივი კურიკულუმი აგებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით. წარმოდგენილი თემები და სხვადასხვა შინაარსის დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე. კათედრის პედაგოგები შეთანხმდნენ, რომ კურიკულუმის ჩარჩო განისაზღვროს შემდეგი კომპონენტებით: თემატური ერთეული, რომლის ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები და სწავლის შედეგები), თემის ფარგლებში განსაზღვრულია დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ-მაგალითები, საკითხთან მიმართებით დაგეგმილია შემოქმედებითი პროდუქტების განხორციელება და თემის შესაჯამებლი დავალებები, რომლებიც განსაზღვრავს სამიზნე ცნებებისა და შედეგების მიღწევის დონეს. კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს სასწავლო რესურსების ველს, ძირითადი და დამატებით რესურსების მითითებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს და სათანადო მაგალითების დამოწმებით განამტკიცეს პოზიცია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მოსწავლის აქტიური

	ჩართულობა, მოტივაციის ამაღლება; გათვალისწინებულია მათი ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, სკოლაში არსებული რესურსები. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მხარდასაჭერად სკოლა მემორანდუმის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტსა თუ კოლეჯთან (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი და სხვა; კოლეჯები: ზესტაფონის კოლეჯი ,,კონსტრუქტ2, ქუთაისის მრავალპროფილური კოლეჯი ,,იბერია“); აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში წარმატებით დაინერგა რემედიაციის პრაქტიკა, მიმდინარე სასწავლო წელს კი იგეგმება მკითხველთა კლუბის ამოქმედება. ექსპერტის მხრიდან, სკოლას მიეცეს **რჩევა,** კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით . სასურველია, ამოქმედდეს დამატებითი საკლუბო წრეები. ***ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურის ყველა კლასისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაწავლისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც საგნობრივი პედაგოგები იყენებენ სასწავლო წლის დაგეგმვისას. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში პედაგოგებს გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ

	დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, საგნის საფეხურებრივი სტანდარტის შედეგების რეალიზების გზები კურიკულუმში ნაჩვენებია კომპლექსური/ შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. **რჩევა:** სასურველია, **1-ელი და მე-3 კლასების კურიკულუმში** დაზუსტდეს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები, მიეთითოს რესურსების გრაფაში სახელმძღვანელოდან (I და III კლ)და მოსწავლის სამუშაო რვეულიდან(I კლ) საკითხების შესაბამისი გვერდები. **მე- 4 კლასის კურიკულუმში** რესურსების გრაფაში მიეთითოს კონკრეტული ელექტრონული რესურსების ბმულები, რომლებსაც პედაგოგი იყენებს სწავლის პროცესში კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. **მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებზე** მუშაობისას პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილონ შესაბამის სვეტებში ინფორმაციის სწორად განთავსებას. კერძოდ, გრაფაში ,,საკითხი/ საკითხთა კლასტერი“ მითითებულია ,,კონტექსტ- მაგალითები“ და პირიქით. ასევე, სასურველია კურიკულუმში სახელმძღვანელოდან სწორად და სრულად აისახოს ყველა საკითხი, რომლებიც საჭიროა ესგ-ის მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ***ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ. ***ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი

	კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. *ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრაზე, ოთხივე საგნის(მე და საზოგადოება, ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება),შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **რჩევა:** მასწავლებლებმა კურიკულუმის დაგეგმვისას ითანამშრომლონ ერთმანეთთან და გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. დაგეგმონ საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. მე-4 კლასის ბუნებისმეტყველებაში ჩაასწორონ სავალდებულო თემების დასახელება და ასევე მათემატიკაში მე-3 დ მე-4 კლასებში საკითხების სვეტში გადმოიტანონ კონტექსტ მაგალითებში ჩაწერილი პარაგრაფთა დასახელება და თემები გადაალაგონ სახელმძღვანელოს მიხედვით. *ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის ოქმებში, კათედრის წევრების შეხვედრებზე, ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას, აღნიშნეს, რომ ზეპირსიტყვიერად ხდება კურიკულუმის რევიზია და გადასინჯვა. გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა და სხვ.), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. **რჩევა:** სასურველია: • კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება; • კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; • ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; • თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები; • კათედრის ოქმებში დაფიქსირდეს კურიკულუმის რევიზიის შედეგები ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება ესგ-ის მიხედვით განსაზღვრული თემატური ერთეულების ფარგლებში კონკრეტული საკითხების მიხედვით, სადაც ცოდნის გამთლიანებას მოსწავლე ახდენს შემოქმედებითი ტიპის დავალებების ფარგლებში, რომლის მტკიცებულებები კათედრამ წარმოადგინა (მაგ: გეოგრაფია-„ კედლის გაზეთი ოულანკის დიდი პარკის შესახებ; გაზეთი- ტორნადობის ხეივანის შესახებ“; ისტორია- „ჯარისკაცის ჩანაწერები-

	პირველი მსოფლიო ომის მიხედვით; კედლის გაზეთი 1832 წლის შეთქმულების შესახებ; პოსტერი- 1924 წლის აჯანყების შესახებ; სტატია- ნაპოლეონის შემდგომი ევროპის პოლიტიკური რუკის ცვლილებების შესახებ“ და სხვ.) შესაბამისად. ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური, რუსული, ფრანგული და გერმანული ენების კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებთან. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნისა და ისეთი უნარების გასავითარებლად როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და სრულყოფას ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში და პროექტების აღწერაში შუალედური (საკითხები,თემები,შემოქმედებითი დავალებები) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული მიმდინარე წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან და საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნების/ საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები.

	კათედრაზე წარმატებით დაინერგა პროექტული სწავლების პრაქტიკა, რასაც მტკიცებულების სახით გადმოგზავნილი დოკუმენტები მოწმობს. 1.იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებზე ორიენტირებული პროექტ-გაკვეთილი; 2.„ვეფხისტყაოსანი“ ეპოქათა კვეთა - პროექტი , რომელმაც სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული დავალებიდან სოციალურ სახელოვნებო კონტექსტში გადაინაცვლა; 3.კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული პროექტი - ილიას ჰუმანიზმი და თანამედროვე გამოწვევები; 4.წიგნების თარო - V-VI კლასებში წამოწყებული პროექტი, რომელიც მოსწავლეთა დიდი ინტერესიდან გამომდინარე, მკითხველთა კლუბის იდეად იქცა. **ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცეს რჩევა:** 1. კომპლექსური დავალების პარალელურად, შერჩეული შემაჯამებელი დავალებების ტიპებიც, მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. (სამივე საფეხურზე) ; 2. კურიკულუმებში დაზუსტდეს საფეხურის შედეგები; საბაზო საფეხურზე სასწავლო თემების პარალელურად განისაზღვროს თემატური ბლოკები; არსებულთან ერთად ტექნიკურად დაკორექტირდეს მე-11 კლასის კურიკულუმი. (თვალსაჩინოებისთვის იხ. მერვე/მეთორმეტე კლასების კურიკულუმები). ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მათემატიკის საგნობრივ სტანდარტში. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს თითოეული საფეხურის ბოლოს. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება

	საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმ მიზნებისა და სასწავლო შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. თუმცა მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნების გრაფაში, ნაცვლად სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპებისა“ წერია „კომპიუტერის აგებულება“. მოცემულ შემთხვევაში მიმართულება, საკითხი, დავალების იდეა, მაგალითი შედარებისთვის და რესურსი შინაარსობრივად სწორადაა აგებული, თუმცა ცნებების ფორმულირება არასწორია. რაც უფრო გავს მექანიკურ შეცდომას, რადგან სხვა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული ცნება სწორად აქვს ფორმულირებული. საჭიროა სკოლამ სამიზნე ცნებების ფორმულირება მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **რჩევა:**

	მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, სამიზნე ცნების გრაფაში „კომპიუტერის აგებულება“ ნაცვლად უნდა ეწეროს სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“. მოცემულ შემთხვევაში მიმართულება, საკითხი, დავალების იდეა, მაგალითი შედარებისთვის და რესურსი შინაარსობრივად სწორადაა აგებული, თუმცა ცნებების ფორმულირება არასწორია. საჭიროა სკოლამ სამიზნე ცნებების ფორმულირება მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ოთხივე საგნის საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. შედგენილი დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღწერეს შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია. კურიკულუმისა და მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი აჩვენებს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ შემოქმედებითი დავალებების როლი. ისინი ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით მიდგომას, თანამშრომლობას, დამოუკიდებელი მსწავლელის როლის ჩამოყალიბებას. ***ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული და დაგეგმილი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლა ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად იყენებს ელექტრონულ რესურსებს: www.ck12.edu.ge, ტელესკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მომზადებულ პრეზენტაციებს, მოძიებულ თემატურ მასალას. აქვთ ცხრილები, პლაკატები (რაც ჩანს გადაღებულ ფოტო- მასალაში) სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი ლაბორატორია, რეაქტივები, ლაბორატორიული ჭურჭელი. რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საინტერესო პროექტებზე მუშაობენ მოსწავლეები ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. დოკუმენტებში გადმოგზავნილია რამდენიმე ინტეგრირებული გაკვეთილი დაწყებით და საბაზო და საშუალო საფეხურზე. მაგალითად: ფიზიკა-ბიოლოგია. ფიზიკა-ისტორია. პროექტი „კლიმატმეგობრული სკოლა“, „წითელი კომბოსტოს ინდიკატორი“... ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) რესურსების სვეტში ასახულია მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო რესურსები, რომელიც მეთოდურად მორგებულია კონკრეტულ საკითხებზე და ხელს უწყობს შემოქმედებითი ტიპის დავალებაზე მუშაობას, რაც მოახდენს საგნობრივი შედეგების მიღწევას. სკოლამ ასევე წარმოადგინა კათედრის რესურსების ბანკი, სადაც ასახულია მრავალფეროვანი სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სკოლა, სწავლების სამივე საფეხურზე, უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. მასწავლებლებს აქვთ საშუალება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და სწავლის მეთოდების შესაბამისად გამოიყენონ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. სკოლა ძირითადად იყენებს გრიფმინიჭებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ასევე, დამატებით საგანმანათლებლო რესურსს (მათ შორის, ელექტრონულს, რომლის ბმულები წარმოდგენილია კურიკულუმებში), პოსტერებს, მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ შექმნილ რესურსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ

	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო კურიკულუმებით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული რესურსებიდან ასევე სკოლის მიერ მოწოდებული საეტაპო აქტივობებიდან, განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებიდან და პროექტებიდან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი - გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე - როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსების გამოყენებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები. წვდომა ინტერნეტთან.) გასათვალისწინებელია ჩანაწერი: კათედრის მეორე ოქმში ვკითხულობთ, რომ სასურველია, მასწავლებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების შექმნის შესახებ, რათა უფრო აქტიურად მოხდეს დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიება და ეფექტურად გამოყენება. **ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცეს რჩევა:** მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ.რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე. (სამივე საფეხურზე)

	მიზანშეწონილია კონტექსტური პარალელებისთვის დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში. ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სასწავლო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის კათედრა პირველ სხდომაზე არჩევს და შეთანხმებულად განსაზღვრავს გამოსაყენებელი რესურსების ჩამონათვალს- გრიფირებულ და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, მატერიალურ რესურსებს-კომპიუტერებს, პროექტორს, პლაკატებს, გეომეტრიული სხეულების მოდელებს და სხვა. სწავლა-სწავლებისათვის ასევე გამოყენებული აქვთ ელექტრონული რესურსებიც (https://ka.khanacademy.org/ ტელესკოლის გაკვეთილები, math.ge, https://learningapps.org/ ელექტრონული სახელმძღვანელო- მათემატიკური წიგნიერება და სხვა). ყოველივე ეს ასახულია კურიკულუმების შესაბამის ნაწილში. სამივე საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, მიზნობრივად შერჩეული სასწავლო რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგნობრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ვალიდირებულია კათედრის მიერ. ***ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე, მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახული რესურსი მოიცავს აქტივობებს, ინტეგრირებულ დავალებებს, რაც მაღალი აკადემიური მოსწრების, ასევე სსსმ ან, დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მოსწავლეებთან ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. სკოლას წარმოდგენილი აქვს რემედიაციის გეგმა. სკოლას გადმოგზავნილი აქვს მოსწავლის ინიციატივების წესი, ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ.

	ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. კათედრა კურიკულუმის შექმნის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, სურვილებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს საშუალება აქვთ ციფრული და მატერიალური სახის პროდუქტი შექმნან და წარადგინონ კლასის წინაშე. კათედრას წარმოდგენილი აქვს ისგ- დოკუმენტები (მაგ: მოქალქეობაში- ურთიერთობა თემში). ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ერთ წევრი, კერძოდ მოქალაქეობის მასწავლებელი გახლდათ სპეც. მასწავლებელი და ამ მხრივ დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, რისი გაზიარებაც კოლეგებთან ხორციელდება. შესაბამისად, კათედრა ახდენს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და სასწავლო პროცესის მასზე მორგებას სამივე საფეხურის მიხედვით. *ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციზე დაყრდნობით, სკოლაში უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. წლის დასაწყისში, მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩართულ სპეციალისტებთან ერთად, შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ქმნიან ისეთ შემოქმედებითი/ კომლექსური ბუნების დავალებებს, რომლის ადაპტირება და მოდიფიცირება მარტივად შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში. უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც მკაფიოდ განსაზღვრულია: სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები რომლებიც ესგ-თი განსაზღვრულ სასწავლო შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. *ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ანიშნეს, რომ ახდენენ კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალებების და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული მუსიკის და სახვით ხელოვნების სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას შემუშავებული აქვს შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, დირექტორის ბრძანებით, შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სსიპ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლაში 2025-2026 სასწავლო წელს ირიცხება 21 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. აგრეთვე, თვითშეფასებაში წერია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიურ სწავლებასა დიფერენცირებულ მიდგომებს: მოსწავლის სწავლების ტემპის, სირთულის ხარისხის, მეთოდების მოდიფიცირებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების, სწავლის სტილის ან ინტერესების შესაბამისად. ასევე განსაზღვრულია დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები. აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის, დავალებები შედგენილია მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი მეცადინეობები, ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლის მშობლებთან და დირექციასთან შეთანხმებით. 2025 წლის 12 დეკემბერს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებისა და ინკლუზიური გარემოს პოპულარიზაციის მიზნით სკოლაში ჩატარდა ღონისძიება „ჩვენი სკოლა ყველასია“ ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით განხორციელებულ ტრენინგზე („სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა დაწევისა და დაჩქარების პროგრამა“) დასწრება მათ გამოცდილებაზე დადებითად აისახა.

	ექსპერტის მხრიდან, სკოლას მიეცეს რჩევა: სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, შემდეგი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას, მიზნობრივია, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება. ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ სკოლას დაწყებით და საბაზო საფეხურზე ჰყავს სსსმ მოსწავლე. კათედრაზე შემუშავებულია შესაბამისი ისგ. დოკუმენტში მითითებულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, ადაპტირებული დავალება, მიზნის მისაღწევი აქტივობები და შეფასება. ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე,

	შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიების პედაგოგთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავს ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლის მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასთან მიმართებაში. მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დავალებაში, ნათლად ჩანს მოსწავლეთა დიფერენცირება. ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული მეთოდების გამოყენების შესახებ. ასევე გადმოგზავნილ შემოქმედებითი დავალების ბარათებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი დავალებები, ასევე შეფასებები - ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის. **რჩევა:** მასწავლებლებმა კურიკულუმშივე გაითვალისწინოს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საკითხები და დავალების იდეა, საჭირო რესურსებით. ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ დოკუმენტაციის სახით წარადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. პროექტის შეფასების რუბრიკები.

	საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის შეფასების რუბრიკა, წყვილებში მუშაობის შეფასების რუბრიკა. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების სქემა. ლაბორატორიული სამუშაოს შეფასების რუბრიკები. სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. **რჩევა -** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. ასევე, კურიკულუმს თან უნდა ახლდეს შესაბამისი შემოქმედებითი პროდუქტის/პროდუქტების შეფასების რუბრიკა, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. საბაზო და საშუალო საფეხურზე დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკები და არა ზოგადი სახით წარმოდგენილი. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურზე (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) რომელიც აგებულია გრძელვადიანი მიზნების პრინციპების მიხედვით. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები გამომდინარეობს საფეხურის შედეგების ინდიკატორების საფუძველზე. განმსაზღვრელ შეფასებას მინიჭებული აქვს ქულები, (მაგ: მოქალაქეობა „ გლობალიზაცია “; „ჯანსაღი ცხოვრება“; გეოგრაფია- „ჩრდილოეთ ამერიკა“; „ტორნადოების ხეივანი“; „დასავლეთ საქართველო“; ისტორია-„ პრეისტორიული ხანა“ და სხვ.) ხოლო განმავითარებელი შეფასება კონკრეტული თემის/საკითხის მიხედვით ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს და საჭირო უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობას (მაგ: მე და საზოგადოება- „მე და ჩემი ქვეყანა“; ისტორია- ,,საქართველო ქვის ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანამდე“, ,, ქართველური ტომები გვიანბრინჯაო- ადრერკინის ხანაში“და სხვ.). ამრიგად, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანსა და წარმოდგენილია ესგ- ის პრინიპებთან მიმართებით. **რჩევა:** ჩვენი საქართველოს (V-VI კლ.) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოარგეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

	ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
უცხოური ენები	დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მოსწავლეთა შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. იგი უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და სხვა ინსტრუმენტების ნიმუშები სამივე საფეხურის შემთხვევაში. შეფასების მეთოდები და საშუალებები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას. ამასთან ერთად, უცხოური ენების კათედრას დანერგილი აქვს დიაგნოსტიკური წერების პრაქტიკა რითაც მუდმივად ადევნებენ თვალყურს მოსწავლეთა ცოდნის დინამიკას. საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი, შესაბამისად, სწავლების სამივე საფეხურზე შეფასება ხდება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაყრდნობით. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ მუსიკაში მეშვიდე კლასში მიმდინარე წელს განახორციელა მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასება ასევე სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

	სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე, განმავითარებელი შეფასება - შესაბამისი რუბრიკებით. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით დონეების მიხედვით: დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი, მაღალი. შეფასების სისტემა მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიის(დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) შემოწმებაზე. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე. დოკუმენტი უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირება) უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, მოსწავლეთა ჩართულობას თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასების პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას.

	ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. მასწავლებელთან გასაუბრება და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებელს აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებელს ზოგადად აქვს ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე. **რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები;*
- *საგანმანათლებლო რესურსები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *დიფერენცირებული მიდგომით შესრულების აქტივობების ამსახველი მასალა (სამივე საფეხურზე);*
- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები;*
- *მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ამსახველი მასალა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიმართულებაზე და დახვეწაზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორის კავშირებს (სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაციის სახით ინტეგრირებული პროექტები და გაკვეთილები) რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას და მოსწავლეთა ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება, ურთიერთდასწრება (კრიტიკული მეგობარი, ურთიერთდასწრების გეგმები). ერთობლივი თანამშრომლობა სასკოლო ინტელექტუალურ პროექტებზე. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო-კლუბი ინტეგრირებული პროექტებით(გეოგრაფია-საბუნებისმეტყველო) ასევე, აქცენტი კეთდება მეტად აქტუალურ თემებზე. ძირითადად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა აძლიერებს არაფორმალურ განათლებას, აკავშირებს ფორმალურ განათლებასთან მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებით. **რჩევა:** სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმის ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. სასურველია ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის გეგმაში და გამოყენებულ იქნას როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისა და პროცესის გაუმჯობესების საფუძველი. ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისა და მოსწავლეთა

	მიღწევების ანალიზის საფუძველზე ახდნენ კურიკულუმების მოდიფიცირებას, რაც შემდეგში იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა მზაობა, სურვილები, საჭიროებები და ინტერესები. მოსწავლეების მიღწევების ანალიზის გასაზომად კათედრას შემუშავებული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რის მიხედვით ხორციელდება სადიაგნოსტიკო კვლევა- რისი ნიმუშებიც კათედრამ წარმოადგინა მოქალაქეობის მაგალითზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა სამივე საფეხურზე აქტიურად ანხორციელებს შემოქმედებითი დავალებებით სწავლებას, რის ფარგლებშიც წარმოდგენილია მოსწავლეების ნამუშევრები (მაგ: კედლის გაზეთი, პოსტერები, პრეზენტაციები, ჩანაწერები და სხვ.). ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ვლინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის გათვალისწინებით. სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები ახორციელებენ სასწავლო პროცესს კურიკულუმის შესაბამისად, ამასთან, მუდმივად აკვირდებიან რამდენად ეფექტიანად მუშაობს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები. წლის ბოლოს, კათედრის წევრები განიხილავენ შედეგებს, საკუთარი დაკვირვებისა და კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმებს. ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა მუსიკის დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები, ასევე სახვითი ხელოვნებასა და მუსიკაში საშუალო საფეხურზე განხორცილებული პროექტები, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებუილია. ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომლის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. საფეხურის კურიკულუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საგნობრივ კურიკულუმებს; სასკოლო პროექტებს; სადამრიგებლო

	საათს, სასწავლო კალენდარს, შეფასების სისტემას. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად, თითოეული საგნობრივი კურიკულუმისთვის განისაზღვრება: მოსწავლეების დატვირთვა (საათობრივი ბადე, შინაარსი (კურიკულუმის ჩარჩო); სასწავლო რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, შეფასება (შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება) და სხვა. ასევე განისაზღვრება სადამრიგებლო საათის თემატიკა, სასკოლო პროექტების ორგანიზება. სამივე საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სკოლაში მიმდინარე ძირითად, დამხმარე და მმართველობითი პროცესები, რომლებიც აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ზემოთქმულს სკოლა ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტაციით. აქვე, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დაასახელეს კურიკულუმში გაწერილ დავალებათა მოდიფიცირების კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესებისა და ინიციატივის გათვალისწინებით განხორციელდა (მაგ: „ვეფხისტყაოსანი“ - გაკვეთილიდან დიდ სცენაზე). ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების ბარათები (რომლითაც გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), აქტივობებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. განხორციელებული შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია, დიფერენცირებული მიდგომით განხორციელებული აქტივობები, სსსმ მოსწავლეთა ადაპტირებული დავალებები და მათი ნაშრომები, სამივე საფეხურზე დაგეგმილი და განხორციელებული საგნობრივი პროექტები, ადასტურებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

	წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სასწავლო აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სასწავლო პროცესი დაეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს მასწავლებელთან გასაუბრება. ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს გამოცდილება წარმართონ სასწავლო პროცესი კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით-დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

	მასწავლებლებმა ოთხივე საგანში მკაფიოდ და ნათლად ისაუბრეს შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ეტაპებზე, აქტივობებსა და შედეგებზე. ასევე პრობლემურ საკითხებზე. **რჩევა:** სკოლას მივეცი რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. *ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, საჭიროებებიდან გამომდინარე გადაიხედოს უკვე არსებული კურიკულუმი და მოხდეს მისი ცვლილება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და ზოგადი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესი ეფუძნება სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტიან კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი *ინდიკატორი 2.2.1.3*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაცია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. კათედრის მიერ, შემუშავებული შეფასების რუბრიკები ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი.

	რჩევა: სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა ახდენს ვალიდური, სანდო და გამჭირვალე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, რომელიც ეფუძნება ესგ-ს პრინციპებს და საშუალებას იძლევა ობიექტური შეფასება განხორციელდეს სამივე საფეხურზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტების შედეგებიდან, რომელიც შექმნილია კონკრეტული თემის/საკითხის ფარგლებში (მაგ: მოქალაქეობა „გლობალიზაცია“; „ჯანსაღი ცხოვრება“; გეოგრაფია- „ჩრდილოეთ ამერიკა“; „ტორნადოების ხეივანი“; „დასავლეთ საქართველო“; ისტორია-„ პრეისტორიული ხანა“; მე და საზოგადოება- „მე და ჩემი ქვეყანა“; ისტორია- ,,საქართველო ქვის ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანამდე“, ,, ქართველური ტომები გვიანბრინჯაო- ადრერკინის ხანაში“და სხვ.). რაც საშუალებას იძლევა სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	კათედრას გაწერილი აქვს შეფასების სისტემა სწავლების სამივე საფეხურზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობით ქმნიან კონკრეტული სასწავლო აქტივობის (შემაჯამებელი დავალება, სასწავლო პროექტი, კომპლექსური დავალება და სხვ.) შეფასების რუბრიკებს, რომელიც ეყრდნობა შეფასების მთავარ პრინციპებს. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს გააცნოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდებიან მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობაში ან

	დავალებებზე მუშაობისას, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია რომ, შეფასება მიემართება ესგ-ში განსაზღვრულ საფეხურეობრივ შედეგებს კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით) აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	თვითშეფასებაში ვკითხულობთ, სკოლისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია შეფასების სისტემების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს მოსწავლის შეფასება დაფუძნებული იყოს შემდეგ პრონციპებზე: ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა, გამჭირვალეობა და სამართლიანობა. სასკოლო გეგმით განსაზღვრულია დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების პრინციპები. შეფასების რუბრიკები შემუშავდა საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით, რუბრიკებში ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს მის ვალიდურობას. შემაჯამებელ კომპონეტში მოსწავლე ფასდება შესრულებული დავალების საფუძველზე. მასწავლებელი მტკიცებულებების სახით ინახავს მოსწავლის მიერ შესრულებულ შემაჯამებელ დავალებას, რაც უზურნველყოფს შეფასების სისტემების სანდოობას. შეფასება ობიექტურია, რადგან შეფასება დამოკიდებულია არა შემფასებლის პიროვნულ დამოკიდებულებებზე, არამედ დამოკიდებულია ობიექტური შეფასების სისტემაზე, სქემაზე და ინსტრუმენტებზე. გამჭვირვალეა, რადგან მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებული შემაჯამებელი დავალების თემა, ფორმასა და შეფასების კრიტერიუმებზე. შეფასების სამართლიანობას უზრუნველყოფს ის, რომ ყველა მოსწავლე ერთნაირ პირობებშია ჩაყენებული. მოსწავლეს ეძლევა საშუალება აღადგინოს გაცდენილი შემაჯამებელი წერები სემესტრის ბოლომდე. აღნიშნულს სკოლა შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალების ნიმუშებით, მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების მასალებით ადასტურებს.

	სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვას, განხორციელების პროცესს, მტკიცებულებათა შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. საყურადღებოა ფაქტი, რომ განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები რიგ შემთხვევაში მკვიდრი წარმოდგენების სახით, ციტირების წესით იყო გადმოტანილი, რაც ბუნდოვანს ხდიდა შეფასებას. აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ არსებულ ხარვეზებს და კრიტერიუმებს ინდიკატორთა მიზნობრივი ფორმულირებით გაწერენ. მათ მზაობას მოწმობს დამატებითი დოკუმენტაციის სახით გამოთხოვილი მტკიცებულებები. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვის დროს გაირკვა, რომ შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, მოსწავლეთათვის წინასწარაა ცნობილი. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას. შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების რუბრიკები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება) ხელს უწყობს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას, რადგან მოსწავლის მიღწევები ფასდება სხვადასხვა აქტივობისა და ინსტრუმენტის საფუძველზე. ამასთან, დოკუმენტაციის შეწვლისას ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამატებით მონიტორინგსა

	და ხარისხს. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, კათედრის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში.

	მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლას 2025 წლის 12 დეკემბრის N 2-256 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია დაწესებულებაში შეფასების სისტემა იყოს სანდო ვალიდური და გამჭვირვალე პროცესი, ასევე სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში წარმოდგენილია ვერიფიკაციის პრინციპები, მიზნები, ამოცანები და აღწერილია ვერიფიკაციის პროცესი. სკოლა დოკუმენტის დანერგვას გეგმავს 2025-2026 სასწავლო წელს.

ინდიკატორი 2.2.1.4 , შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა ინახავს მოსწავლეთა შეფასების დამამტკიცებელ დოკუმენტაციას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინფორმაცია ინახება არა მხოლოდ ადმინისტრაციული მიზნებისთვის, არამედ სკოლის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და პროფესიული ანალიზისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026);*
- *სსიპ- ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები საგნების მიხედვით;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ამსახველი მასალა;*
- *დიფერენცირებული მიდგომით შესრულების აქტივობების ამსახველი მასალა (სამივე საფეხურზე);*
- *ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, ადაპტირებული დავალების ნიმუშები;*
- *განხორციელებული პროექტები სამივე საფეხურზე;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლა კურიკულუმით განსაზღვრული რესურსების სახით იყენებს სახელმძღვანელოს, ელ. რესურსებს, ასევე, სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი ლაბორატორია. **რჩევა:** საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ფუნქციონირებს გამწოვი. სასურველია დამონტაჟდეს კარადა. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას სამივე საფეხურზე. კურიკულუმში წარმოდგენილია სხვადასხვა ციფრული სახის დამატებითი რესურსები რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში კონკრეტული საკითხის შესწავლისას. რასაც სკოლა უზრუნველყობს მატერიალური ბაზით. კათედრამ ასევე წარმოადგინა კათედრის რესურსების ბანკი, სადაც ასახულია მრავალფეროვანი სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი და დამხმარე რესურსის ჩამონათვალი და ბმულები (ვიდეო/ფოტო/აუდიო მასალა). წარმოდგენილი დოკუმენტებისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებით; აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა დამხარე ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები რომელზეც წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოებას. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს რაც დასტურდება მოწოდებული კურილუმებითაც, ასევე იყენებენ სამინისტროს მიერ შექმნილ დამატებით აქტივობებს, ტელესკოლის ვიდეო რესურსებს და შემოქმედებით დავალებებს რომელსაც დიფერენცირებულად არგებენ სხვადასხვა კლასებს, ეს ასევე დასტურდება მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებით და დამატებითი აქტივობებით, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვეცნობით, რომ კურიკულუმებში განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი არჩეულია სასწავლო კათედრების მიერ, პედაგოგთა უშუალო მონაწილეობით. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მოიცავს ძირითად და დამხმარე რესურსების ველებს. საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადი - გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებია, გამრავალფეროვნების მიზნით კი (სამივე საფეხურზე) მასწავლებლები იყენებენ თვალსაჩინოებებს, პლაკატებს, მაკეტებს. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია აგრეთვე ელექტრონული რესურსების გამოყენება. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც უზურნველყოფს ელექტრონული რესურსების შეუფერხებელ გამოყენებას. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის გამოყენება სასწავლო პროცესში დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით და თემის ფარგებში გაკეთებული რეფლექსიებით. ამავდროულად, სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია: ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; ბ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). დანართების 1.5(დაწყებითი), 2.5(საბაზო), 3.5(საშუალო) სახით თან ერთვის ძირითადი საგანმანათლებლო რესურსების (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვ ანელოების) ჩამონათვალი კლასების მიხედვით და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი საგნობრივი ჯგუფების შესაბამისად. ზემოთქმულისა და ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო

	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებად კურიკულუმში ასახულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია თემებთან და საკითხებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და ელექტრონული მასალის ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა, ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.

	ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოცემულ ეტაპზე სკოლას აქვს დამხმარე ელექტრონული რესურსების ვალიდაციის მექანიზმი. დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. *ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხმარე რესურსების შექმნა/კლასიფიკაცია, რაც გამოიყენება სამივე საფეხურზე. დამატებითი რესურსების სახით გამოიყენება სხვადასხვა ციფრული სახის მასალები, რომელიც შექმნილია კონკრეტული საგნების მიხედვით. *ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. კურიკულუმებს დართული აქვს პედაგოგების/მოსწავლეების მიერ შექმნილი შემოქმედებითი ტიპის პროდუქტები/ რესურსები. დამატებითი რესურსის შერჩევისას პრიორიტეტი ენიჭება ოფიციალურ ვებ-გვერდებს და ელექტრონულ საგანმანათლებლო პლატფორმებს. კათედრის მიერ გამოყენებულ დამხმარე სასწავლო რესურსს გავლილი აქვს შესაბამისი ვალიდაცია. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. *ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი და სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი აქტივობები, შემოქმედებითი დავლაებები განხილულია და

	შესწავლილია კათედრის მიერ და აღნიშნული რესურსები ძირითადად შერჩეულია სამინისტროს რესურსებიდან და ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილებიდან, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში არსებული ინფორმაციის თანახმად, სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი. სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე, რომელიც შემდეგ სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. ***ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. სკოლას ასევე დოკუმენტურად გაწერილი აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი, რითაც განსაზღვრული აქვს ვალიდაციის კრიტერიუმები. ყველა რესურსი, რომელიც გამოყენებულა კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად, სრულად შეესაბამება ესგ-ით და საგნის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

	ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. *ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რადგან კურიკულუმები განხილულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი. აქედან გამომდინარე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. *ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. *ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითადი და დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, ელექტრონული რესურსები. თუმცა მიმდინარე ეტაპზე სკოლაში ფუნციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. საბაზო და საშუალო საფეხურზე ექსპერიმენტული ნაწილი მნიშვნელოვანია სრულყოფილი სასწავლო რეჟიმის განხორციელებისა და კურიკულუმით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად. აღჭურვილი ლაბორატორია ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის გაზრდას და შემოქმედებითი პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს. **რჩევა:** ლაბორატორიაში ფუნქციონირებს გამწოვი, რომელიც მუშა მდგომარეობაშია. სასურველია გამწოვი ჩამონტაჟდეს კარადაში, რათა არ მოხდეს ექსპერიმენტის შედეგად გამოყოფილი აირების გაფრქვევა ჰაერში. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია იმ ტიპის ტექნიკურ-მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, კომპიუტერებით, პროექტორებით, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას კურიკულუმებში წარმოდგენილი ციფრული რესურსები და სასწავლო პროცესი მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის, სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს ინტერნეტი, კომპიუტერები, პროექტორები და ბიბლიოთეკა რომლით სარგებლობა განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის პერსონალისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნშნეს რომ სკოლა მათ უზრუნველყოფს ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, ეს დასტურდება სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ

	მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებით, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფნები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, საკონფერენციო დარბაზი, სპორტდარბაზი, ეზო, გარე სპორტული მოედანი) საშუალებას აძლევს მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში, შესვენებაზე კი სრულფასოვნად დაისვენონ. სკოლის მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია მოსწავლეთა რაოდენობასთან, კერძოდ, სკოლა აღჭურვილია ყოველ მოსწავლეზე ინდივიდუალური მერხითა და სკამით, საკლასო ოთახზე გათვლილია მინიმუმ ერთი ან ორი დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კარადა რესურსებისთვის. სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება კომპიუტერული ტექნიკა: კომპიუტერი, პროექტორი და ასე შემდეგ. სსსმ მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს რესურსოთახი შესაბამისი ავეჯით, კომპიუტერებითა და მუდმივად განახლებადი სასწავლო რესურსებით. სკოლის სრული რეაბილიტაცია დასრულდა 2024 წელს და იგი ინფრასტრუქტურულად სრულად მოწესრიგებულია. (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა -1040) სკოლის თვითშეფასებაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებით, ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა

	ინტერესებსა და საჭიროებებს. სწავლების პროცესში ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის საჭირო ყველა რესურსი, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ყველა კლასი სარგებლობს კომპიუტერული ლაბორატორიით, თუმცა მოსწავლეები ასევე იყენებენ ბუკებს სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად სხვა საგნებში. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციური ადამიანური რესურსი. სკოლა უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმის წარმატებული განხორციელებისთვის საჭირო ყველა ადამიანური რესურსი (მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, სპეციალისტები) სრულად შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *განხორციელებული შემოქმედებითი დავალების ნიმუშები;*
- *პირადი საქმეები;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა, სხდომის ოქმები;*
- *მატერიალური რესურსები;*
- *კლუბის განხორციელებული პროექტები;*
- *დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ის, თუ როგორ, რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის ფარგლებში ხდება კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერი მხარეების გამოყოფა და იმ გამოწვევებისა და ასპექტების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე სკოლაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში მონიტორინგის მიზნით ხდება პროცესზე დაკვირვება, სკოლა ახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს, კათედრაზე პედაგოგთა ურთიერთდასწრებებს და ასევე შემაჯამებლების ანალიზს. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყველა ახალი სასწავლო წელი იგეგმება გასული სასწავლო წლის ანალიზის საფუძველზე. მონიტორინგის და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭოს წევრები და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება გამოიყენება შემდგომი პროცესის დასაგეგმად და პროცესების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით სკოლაში ხდება გაკვეთილებზე დასწრება, დიაგნოსტიკური წერები, უკუკავშირის გაცემა, რომელიც ორიენტირებულია მხარდაჭერაზე და

განვითარებაზე. სამივე საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, კათედრები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საგნების მიხედვით ერთობლივად, ერთმანეთის აზრისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქმნიან სამოქმედო გეგმებს, მუშაობენ კურიკულუმების ფორმირებაზე, განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს, თემის ფარგლებში საკითხებს და შემაჯამებელ და შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობაზე. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საკუთარი გამოცდილების ანალიზის და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, მათ აქვთ მზაობა იმოქმედონ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა ამისა, ხვეწენ საკუთარ პრაქტიკას და ზრუნავენ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი სკოლაში განიხილება, როგორც სასკოლო საზოგადოების განვითარების მხარდამჭერი ინსტრუმენტი. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების სხვადასხვა ფორმები, როგორიცაა შემაჯამებლების ანალიზი, დიაგნოსტიკური წერები, ურთიერთ დასწრებები ქმნის შესაბამის გარემოს, სადაც როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა განიხილონ არსებული გამოწვევები და დაგეგმონ ინტერვენციული ნაბიჯები არსებული პრობლემებისა თუ გამოწვევების აღმოსაფხვრელად. სწორად გაცემული რეკომენდაციები და უკუკავშირი და მიმღებლობა მასწავლებლების მხრიდან, განვითარების საუკეთესო საშუალებაა. საგნობრივ კათედრებზე თუ წყვილებში მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ უკუკავშირს, გარდა ამისა, პერიოდულად, კრიტიკული მეგობრის სახით ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე.

ინდიკატორი 2.3.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *მასწავლებელთა ყოველწლიური ანგარიშები;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასკოლო თემატური გეგმები ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას ინტეგრირებულად მოხდეს დაკვირვება და გათვალისწინებულ იქნას შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. ეს მოიცავს როგორც მოსწავლეთა ნამუშევრებსა და აკადემიური მოსწრების მონაცემებს, ასევე მასწავლებლის დაკვირვებებს, მოსწავლეთა თვითშეფასებასა და მშობელთა უკუკავშირს. სკოლაში სისტემატიურად გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები. კათედრის ხელმძღვანელები სასწავლო წლის ბოლოს აკეთებენ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები. დირექცია აკვირდება მასწავლებელთა სამუშაო პროცესს და უკუკავშირის საშუალებით ეხმარება ხელი შეუწყოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას.
ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რის შესახებაც სისტემატიურად იღებს ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან. ასევე, სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენადაა მოსწავლე ჩართული სწავლების პროცესში, დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში პრეზენტაციის წარმართვისას. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად მონაწილეობს მოსწავლე არაფორმალურ აქტივობებში, კლუბურ მუშაობაში, სასკოლო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში და სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში.
ინდიკატორი 2.3.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**.

შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს: საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი და მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი.
ინდიკატორი 2.3.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ: რამდენად ეფექტურია სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლის სტრატეგიები, დამხმარე სასწავლო რესურსი, სკოლის მატერიალური რესურსი, შეთავაზებული სერვისები, განხორციელებული სადამრიგებლო პროგრამები, სადიაგნოსტიკო წერები, სკოლის ადამიანური რესურსი და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ)*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასულ სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლა მთელი წლის განმავლობაში სწავლობს დანერგვის პროცესს, აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, განიხილავენ პრობლემის გადაჭრის გზებს და სწორედ ამ გამოცდილების საფუძველზე ქმნიან მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და რევიზიას. სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლას აქვს მზაობა ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში შექმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, ეს გამოცდილება აისახება, როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის

სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. საგნობრივი ჯგუფები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ეწევიან კოორდინირებულ მუშაობას.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ ქალაქ ზესტაფონის N 4 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 18.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დავით ჩივაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოფიკო გოქოლიშვილი

ხათუნა ნოზაძე



ნიკა უთალიშვილი



ია გაგნიძე

დავით კიკვიძე

მარინე ჩიტაძე

ნინო წიკლაური

შორენა ნიკოლეიშვილი

ნინო მახარაშვილი

ედუარდ ნაკაიძე